საქართველოს რესპუბლიკა

იმისთანა ჭმინდა საქმეში, რიგორიც ბეჭდვური სიტყვაა, ტყუილებით და ჭორებით ბუტრუნის გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

მაგიდის 1918 წლის 25 ივლისიდან

ხუთშაბათი, 18 ოქტომბერი. 2018 წ. №208 (8609) | ელ.ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge | ფასი 60 თეთრი

ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობაც ნაძირალა სააკაშვილის შეკვეთილი იყო!

მთავარმა პროკურატურამ ბიზნესმენ ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების საქმეზე ბრალი კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის 3 ყოფილ მაღალჩინოსანს წარუდგინა. ამის შესახებ განცხადება მთავარ პროკურატურაში გუშინ გაკეთდა.

ირკვევა, რომ გამოძიება 2016 წელს, ერთ-ერთი ბინის ჩხრეკისას მოპოვებული აუდიოჩანაწერების შესწავლის საფუძველზე დაიწყო, თუმცა ზემოაღნიშნულ პირებს ბრალი ორი დღის წინათ, გამოძიების დაწყებიდან 2 წლის შემდეგ – 2018 წლის 15 ოქტომბერს წარედგინათ.

ამ გარემოებას პროკურატურაში შემდეგნაირად განმარტავენ:

„ჩხრეკის დროს ათეულობით ფაილია მოპოვებული. მათ სჭირდებოდათ ექსპერტიზა, ჩატარდა საგამოძიებო მოქმედებები და როდესაც გამოძიება მივიდა იმ კონდიციამდე, რომ კონკრეტული პირების მიმართ სისხლის სამართლებრივი დევნა დაწყებულიყო, ბრალი წარედგინა და სასამართლოს აღკვეთის ღონისძიების შეფარდების შუამდგომლობით მივმართეთ“.

ბრალდებული შიუკაშვილის ადვოკატის განმარტებით, საქმის მასალების მიხედვით, მოპოვებულ აუდიოჩანაწერს ექსპერტიზა ჯერ კიდევ 2016 წელს აქვს ჩატარებული.

„გამოძიება ეყრდნობა აუდიოჩანაწერს, რომელსაც ოფიციალური მონაცემებით, ექსპერტიზა 2016 წელს ჩაუტარდა, თუმცა პროკურატურამ რატომღაც, ორი დღის წინათ გადაწყვიტა ბრალის წარდგენა. გვინდა, ეს კითხვა სახელმწიფო ბრალდებას სასამართლო პროცესზე დავუსვათ. ვთვლით, რომ ჩანაწერი ფალსიფიცირებულია“, – განაცხადა ადვოკატმა ქეთი მირიანაშვილმა.

კითხვას, განახორციელეს თუ არა ზემოაღნიშნულმა პირებმა გეგმა, პროკურატურა პასუხობს, რომ გამოძიება ბრალდებულებს მკვლელობის ორგანიზებას ედავება და არ არის საუბარი საქმის ბოლომდე მიყვანაზე.

როგორც პროკურატურა ირწმუნება, ჩანაწერების მიხედვით, პატარკაციშვილის მკვლელობა პრეზიდენტ მიხეილ სააკაშვილის მიერ იყო სანქცირებული.

„აქცენტი“ პროკურატურის მიერ დღეს გავრცელებულ ოფიციალურ განცხადებას უცვლელად გთავაზობთ. ასევე გთავაზობთ პროკურატურისვე შემოთავაზებულ აუდიოჩანაწერებს:

იხ. 3 გვ.

ბოლო თითქმის მეოთხედი საუკუნის მანძილზე ბევრი უბედურების მნახველო და უამრავსიმწარენაწვნევო, საქართველოს ხვალინდელ ბედზე მოფიქრალო გონიერო ამომრჩეველო, ერთი წამით არ უნდა იგულმავიწყო, რომ 2018 წლის 28 ოქტომბერი წყალგამყოფია ნაციონალურ ჯოჯოხეთურ წარსულსა და ბევრად უკეთეს მომავალს შორის, რომელიც ჩვენ ერთად უნდა ავაშენოთ!

„ნაციონალური მოძრაობა“ ფაშიზმის საგანგაშო ნიშნების მატარებელია!

ჩვენი პარლამენტის თავმჯდომარის განცხადება, რომ „რუსთავი-2“-ის ხელმძღვანელის სიტყვები („დავიმახსოვროთ მოღალატე სალომე ზურაბიშვილის მიმდევრები, რათა ისინი ყოველნაირად შევავიწროოთ, დავსაჯოთ“ და ა. შ.) აშკარად ფაშისტურია, როგორც მოსალოდნელი იყო, „ნაც მოძრაობის“ მიმდევართა მხრიდან დიდი გნიასი და წივილ-კივილი მოჰყვა. ერთი გაკაპასებული ქალბატონი (ბოკერიას მეუღლე) ტელეეკრანიდან პირდაპირ ჩხაოდა: „მაშ, ბაქრაძე ფაშისტია?!“

იხ. 5 გვ.

„ვირთა გვარამი“ – ეს რა ჯადო გვჭირს მართლა და მართლა?!

8

ქათმის სიბრძავე!

უკვე დრო, რომ ქვეყნის ხელისუფლებას გამოსაფხიზლებლად კიდევ ერთხელ ანკარა ცივი წყალი გადავასხათ, რათა სამუდამოდ განიკურნოს საშინელი სენისგან – ქათმის სიბრძავისგან!

4

100 წლის გაზეთი თქვენს დახმარებას ითხოვს

დემოკრატიულ საქართველოსთან ერთად დაბადებულ, დღეს 100 წლის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკას“ ქაღალდისა და ბეჭდვის ფასების ზრდის გამო ფინანსურად უკიდურესად გაუჭირდა. სწორედ ამიტომ ითხოვს გაზეთი მამულიშვილთა უანგარო მხარში დგომას, ხელის გამართვას.

ჩვენი ანგარიშია: №GE19TB7601536020100009. (შპს „ახალი საუკუნე“).

სიტყვა – მიზანში!

ირაკლი კობახიძემ არასამთავრობოებს კიდევ ერთხელ მოსცხო!

„ნიკა გვარამიას გამონათქვამი არ იყო უბრალო მეტაფორული გამონათქვამი, ეს იყო კონკრეტული მუქარა იმ ადამიანების მიმართ, რომელიც მხარს უჭერენ ქალბატონ სალომე ზურაბიშვილს. მე დღეს, კიდევ ერთხელ საჯაროდ ვაყენებ მოთხოვნას არასამთავრობო ორგანიზაციების წინაშე, რომ მათ შეაფასონ ნიკა გვარამიას ეს განცხადება“, – განაცხადა ტელეკომპანია „იმედის“ თოქშოუში „პირისპირ“ პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ.

მისი თქმით, ეს იქნება მათი შეფასების ძალიან მნიშვნელოვანი კრიტერიუმი ან ისინი მოახდენენ თვითლუსტრაციას ძალიან მძიმე ფორმით, ან ისინი ერთხელ და სამუდამოდ სწორად და ადეკვატურად შეაფასებენ იმ გამონათქვამს, რომელიც გააკეთა ნიკა გვარამიამ.

„ჩვენ როცა ვამბობთ რომ ეს არის ფაშისტური განცხადება, ამას აქვს ძალიან კონკრეტული საფუძველი და ამაში ალბათ მთელი საზოგადოება დაგვეთანხმება. ფაშიზმი სხვა არაფერია, თუ არა ადამიანების მოკვეთა ეკონომიკის, კულტურისა და პოლიტიკის სფეროდან. ეს არის ის სულისკვეთება, რომელიც ეფუძნება ადამიანის ღირსების ტოტალურ შელახვას. როდესაც ასეთ განცხადებას არ აფასებენ არასამთავრობო ორგანიზაციები, რომლებიც უნდა იყვნენ თეორიულად ეტალონები ამ სფეროში და ტონის მიმცემები სხვებისთვის, ეს არის აბსოლუტურად შემაშფოთებელი“, – განაცხადა ირაკლი კობახიძემ.

მიხეილ სააკაშვილი – საქართველოს მილიარდერი მტერი!

...ეს უნიჭო მსახიობი მაგონებს იმ ადოლფს, ულვაშმოპარსულ ვითომ ეკონომიკურ კლასში რომ პოზიორობს, ჩვენ, კრეტინებს რომ შეგვაცოდოს თავი! საცოდავი კლოუნი! ო, უსამართლობის სისხლიანო მსხვერპლო, მსოფლიო სევდამ შეგიპყრო, არა?! მაინც გოეთეს „მდაბალს და მაღალს“ უკეთ იცნობს, მერე მამის ბებოს ბიცოლა ჰოჰენცოლერნი არ იყო?!

ეს საოცარი ფოტო გულმოკლული სააკა-ადოლფი, თვითმკვლელობის წინ, ეტყობა დიდხანს ირჩევდა და ურჩევდნენ კომპოზიციას. ამ ფოტომ, ასე ფიქრობს ეს ბოროტი კაცი, **ქართველებს ცრემლი უნდა გვადინოს! ცრემლი დაგვიშრა, სიხარულის ცრემლებს ველოდებით!**

რობერტ სტურუა

„რუსთავი-2“ სიმსივნეა ქართული სინამდვილის ტანზე!

...რა მოხდება, რომ პოლიტიკოსებმა თუ არაპოლიტიკოსმა ადამიანებმა გამოუცხადოთ ბოიკოტი „რუსთავი-2“-ს და არ მიხვიდეთ მის ეთერში!

ერთხელ მაინც გამოიჩინეთ პრინციპულობა და უარი უთხარით თქვენს თავს ნაძირალა გვარამიას ტელევიზიაში მისვლაზე!

მოგმართავთ მათ, ვინც არ და ვერ ივიწყებს იმ ნაცების დატრიალებულ უბედურებას, იმ ტყვილს და აღვირახსნილობას, რაც ამ არხის ეთერით მოედინება!

ერთხელ მაინც გაჯობოთ თქვენმა თავმოყვარეობამ!

არ მიხვიდეთ არც ერთ გადაცემაში და მოხდება მათი საბოლოო დამარცხება!

„რუსთავი-2“ არის სიმსივნე ქართული სინამდვილის ტანზე!

ნუ უწყობთ ხელს ამ უბედურებას!

ქეთი დოლიძე

◎ წკეპლიკა

ვაშა – ვაშაძევ!

ეს ის კაცი გახლავთ, დიდი ხნის განმავლობაში რომ მალავდა რუსეთის პასპორტს და ეს გასაკვირი არ არის – ცნობილია მისი ბიოგრაფია...

ეს ის კაცი გახლავთ, გაშმაგებით რომ ცდილობდა მოსწავლეთა სასახლის დასაკუთრებას და თავის მეუღლესთან ერთად შეურაცხმყოფელი სიტყვებით მიმართავდა სასახლის პედაგოგებს და მოსწავლეთა მშობლებს. ახლა კი ერთობ „ჰუმანური“ გახდა – შეწყალებას პირდება უდანაშაულო ადამიანთა მკვლელებს, პენსიონერებს – 400-ლარიან პენსიას. რეფორმატორობასაც აპირებს – შინაგან საქმეთა სამინისტროს „აუქმებს“...

ვაშა – ვაშაძევ!!!

ლონდა მდივანი

◎ დღის ამოჯაზურიდან

თბილისის მეტროში მოსმენილი:

– ღმერთო, რა მწარედ გამეხარდა, ათასგვარ ანბანზე აჭრელებული და თითქმის უქართულანბანოდ დარჩენილი თბილისის შემდეგ ფრანკფურტში ქართული ანბანი რომ დავინახე.

– ასე თუ გაგრძელდა, მალე მხოლოდ უცხოეთშიღა გვექნება ქართული ანბანის ნახვის საშუალება გამოფენებზე!

– ვაი, ვაი, რას მოვესწარით!

პრემიერის პასუხი პრეზიდენტს

საქართველოს პრეზიდენტმა გიორგი მარგველაშილმა 16 ოქტომბერს პრემიერ-მინისტრ მამუკა ბახტაძეს მიმართა მთავრობის სხდომა მოიწვიოს, სადაც პრეზიდენტის მონაწილეობით სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირებისა და მოქალაქეთა უფლებების დაცვის საკითხები იქნება განხილული.

ვიყენებ ჩემ კონსტიტუციურ უფლებას და მივმართავ საქართველოს მთავრობას, პრემიერ-მინისტრს უახლოეს დღეებში მოიწვიოს მთავრობის სხდომა, სადაც მე სწორედ ამ საკითხების ანალიზის ანუ სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიანი ფუნქციონირების, მოქალაქეთა უფლებებისა და თავისუფლებების დაცვის საკითხით გავმართავ მათთან შეხვედრას“, – განაცხადა მარგველაშვილმა.

„საქართველოში მთავრობის სხდომას ვატარებთ ჩვეულებრივი განრიგით და ჩვეულებრივი რეჟიმით, ბუნებრივია, მზად ვართ ნებისმიერ საკითხზე სასაუბროდ, – ასე უპასუხა პრემიერ-მინისტრმა მამუკა ბახტაძემ პრეზიდენტის მიმართვას.

„საქართველოში მთავრობის სხდომას ვატარებთ ჩვეულებრივი განრიგით და ჩვეულებრივი რეჟიმით, ბუნებრივია, მზად ვართ ნებისმიერ საკითხზე სასაუბროდ. რაც შეეხება მთავრობაზე განსახილველ საკითხებს, ამას არეგულირებს შესაბამისი საკანონმდებლო ჩარჩო და ამის შესახებ განცხადებას მთავრობის ადმინისტრაცია აუცილებლად გააკეთებს“, – განაცხადა ბახტაძემ.

◎ დღის თემა

მე მომწონს ევროპაში აღზრდილი ქალბატონი

...**გადახედეთ** არჩევანს, პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პალიტრას.

საკითხი არ დგას ასე – ვინ?! არამედ ქალბატონ სალომეს გამარჯვებისა პირველსავე ტურში. დაიღალა ქვეყანა, ხალხი ამდენი არჩევნებით, უსაგნო ლაქლაქით, დაპირებებით, ამდენი წყალში გადაყრილი მილიონებით.

დააკვირდით საარჩევნო ბატალიებს. ნათლად ჩანს ვინ ვინაა, რისთვის უნდა პრეზიდენტობა, ვის უკან რა ძალები დგანან. ბევრი მათგანი ვერ მალავს რევანშისტულ ვნებებს. სხვათა შორის, ასევე კარგად სჩანს პრეზიდენტობის მსურველთა ინტელექტი, ზრდილობა.

ქალბატონ სალომეს ერთხელაც არ წამოსცდენია, თუ პრეზიდენტად აირჩევენ, შურს იძიებს ავტორიტარიზმის პერიოდის დამნაშავეებზე. მისი დაპირებები რეალისტურია, ჰუმანური შესრულებადი.

არა მაქვს ნდობა იმ ადამიანების მიმართ, რომლებიც სააკაშვილის რეჟიმის სამსახურში იყვნენ მონური მორჩილებით. საყოველთაოდ ცნობილია რეჟიმის სისასტიკე, მკვლელობები, გაუპატიურებები, ბიზნესის დაყაჩაღება, მაგრამ არანაკლებია მათ მიერ ხელოვნებისა და მეცნიერების მიმართ ჩადენილი დანაშაული. – ქუთაისის უნიკალური მემორიალის აფეთქება, რომელსაც შეეწირა უმწეო დედაშვილი (მარტო ეს კმარა არამზადა სააკაშვილის სამუდამო პატიმრობისთვის), სილნაღში, „ამირანის“ ულამაზესი ბრინჯაოს ძეგლის 17 ნაწილად დაჭრა (დამნაშავე ვერ „აღმოაჩინეს!“), ქუთაისის გულიდან ვაგზლის მოედანზე, ხოლო თბილისში ქალაქის ცენტრიდან დილმის ტრასაზე დავით აღმაშენებლის ძეგლის გაძევება, ზესტაფონში, ხსოვნის მონუმენტის კვარცხლბეკიდან ქანდაკების – „დაჭრილი არწივის“ მოხსნა, რომელიც ზესტაფონის ძველი და ახალი ხელმძღვანელობის სამარხცხვინოდ 10 წელია, აგდია სატრანსპორტო საწარმოს ეზოში და სხვა და სხვა.

არა მაქვს ნდობა იმ რეჟიმის აქტივისტებისადმი, რომლებმაც უფროსი თაობა უბადრუკებად და „ჩარეცხილებად“ გამოაცხადა და აქტიურ საქმიანობას ჩამოაშორა, არ მჯერა ყორნის გათეთრების, ვერ ვენდობი აფთარს, რომელმაც ისწავლა კნუტის ხმაზე კნავილი.

ქალბატონ სალომეს ქართული დაუწუნეს, დედაენა არ იცისო! ვაკვირდები მათ ქართულს, არც ისინი, საქართველოში დაბადებულნი და გაზრდილნი ბრწყინავენ გამართული ქართულით.

– მომწონს ზოგადად ქალბატონი პრეზიდენტის ფენომენი;

– მომწონს ქალბატონი სალომეს განვლილი გზა. ის და მისი ოჯახი ქართულ ეროვნულ საქმეს ემსახურებოდნენ. საქართველოს მსახურება მათი მთავარი მოთხოვნილებაა;.

– მომწონს მისი მარადი ქალურობა. ქალობა პროფესიაცაა;

– მომწონს მისი პირუთვნელობა;

– რაც ძალიან მნიშვნელოვანია: ქალბატონი სალომე არის მმართველი პარტიის მიერ მხარდაჭერილი. ეს კი ერთმნიშვნელოვნად ნიშნავს ქვეყნის თანხმობით მართვას; სამწუხაროდ, ამას ვერ მიხვდა მისი წინამორბედი გიორგი მარგველაშვილი.

მაქვს ერთი ნატვრა – ის, რაც რეიგანმა კონგრესის წინაშე განაცხადა: – ჩვენ არა ვართ რესპუბლიკელები ან დემოკრატები, **ჩვენ ამერიკელები ვართ**. მინდა, ვირწმუნო, რომ საქართველოც მალე მიაღწევს პოლიტიკური კულტურის იმ დონეს, როდესაც ვიტყვით – ჩვენ ყველანი საქართველოს მოქალაქეები, ქართველები ვართ!!!



ვახტანგ დავითაია,
არქიტექტორი,
რუსთაველის პრემიის ლაურეატი

აი, რატომაც ვართ ამ დღეში!

შეუძლებელია სინანული და უიმედობა არ გთრგუნავდეს იმის გამო, რომ გურამ შარაძე – ეს დიდი კაცი, ჩიტივით გამოასალმეს წუთისოფელს, და ვითომც არაფერი.

გურამ შარაძე, როგორც ყველა სახელოვანი ქართველი, სააკაშვილისა და მისი ბანდის სიძულვილის საგანი იყო და მოკლეს კიდეც.თანაც როგორი შურისძიებით: ვერაზე შუბგახვრეტილი დააგდეს მტვერში და სისხლში მოსვრილი მთელი საქართველოს თვალწინ.

ასეთი ფორმით მისი სიკვდილი წინასწარ იყო დაგეგმილი და აასრულეს კიდეც. რად უნდა გამოძიება ბოკერიას სახეს და საქციელს, შეხედეთ ამ კაცს, დააკვირდით მის „მოღვაწეობას“ და მიხვდებით, რომ ის არათუ შარაძეს, არამედ, რომ შეეძლოს, დღესვე მოსჭრიდა საქართველოს თავს და გაუგზავნიდა თავის ლიბერალ ძმებს. ასეთი ხალხი შარაძეს დაინდობდა?!

დააკვირდით ახლა სააკაშვილის ნასხლეტის გვარამიას საქციელს, როგორ იქცევა, რამხელა სიძულვილია და სიბოროტის მანქანაა ეს უნიფხვო ბიჭი, როგორაა გაწვრთნილი სიყალბეში, როგორ გასდის ყველაფერი და თავად დარწმუნდებით, რომ შარაძის მსგავსად დღეში იმდენ გამოჩენილ და მამულიშვილ ქართველს მოკლავდა, რამდენისთვისაც ტყვია ეყოფოდა.

აი,ამ არამზადებს, მკვლელებსა და სიბოროტის დამცველებს ასეთები რომ შეატყაპუნებინეს, იმიტომ არის დღეს ჩვენი საქმე ძალიან ცუდად და იქნება კიდევ უარესადაც. ამაში ვარწმუნებ ყველას და განსაკუთრებით იმათ, ვინც არ იცის ავისა და კარგის გარჩევა.

ელდარ ნადირაძე

ქვეყანაში დესტაბილიზაციას ვერ მოაწყობთ!

დედაქალაქის მერის კახა კალაძის განცხადებით, „ნაციონალური მოძრაობის“ მიერ დაგეგმილი სამდღიანი წინასაარჩევნო მანიფესტაცია კანონის ფარგლებში წარიმართება. ამის შესახებ მან თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის სხდომაზე ისაუბრა.

როგორც კახა კალაძემ აღნიშნა, ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება არსებობს და თუ აღნიშნული აქციების ფარგლებში, გზის გადაკეტვა იქნება საჭირო, ამას შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ.

„25 სექტემბერს, დედაქალაქის მერიაში შემოვიდა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წერილი, რომ 19, 20, 21 ოქტომბერს, 10:00-დან 18:00 საათამდე თავისუფლების მოედანსა და რუსთაველის გამზირზე წინასაარჩევნო მსვლელობა იგეგმება. მანიფესტაციის მონაწილეთა სავარუდო რაოდენობად მითითებული აქვთ 100 000 ადამიანი. აღნიშნული შეკრება მონაწილეთა სიმრავლის გამო, ხალხისა და ტრანსპორტის სამოძრაო სავალი ნაწილის შეფერხებას გამოიწვევს. ჩვენს ქვეყანაში სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლება დაცულია და შესაბამისი სამსახურები უზრუნველყოფენ, რომ თუ გზის გადაკეტვა გახდება საჭირო, გადაიკეტოს. თუ ამისი საჭიროება არ იქნება, შესაბამისი სამსახურები, ასევე, კანონის ფარგლებში იმოქმედებენ“, – აღნიშნა კახა კალაძემ.

მისივე თქმით, აღნიშნული მანიფესტაცია „ნაციონალური მოძრაობის“ ბოლოდროინდელ მცდელობას უკავშირდება, რომ ქვეყანაში არსებული სიტუაცია დაიძაბოს. დედაქალაქის მერის თქმით, ქვეყანაში დესტაბილიზაციის მოწყობის შესაძლებლობა არავის მიეცემა.

„კიდევ ერთხელ მინდა გითხრათ, რომ არავის მიეცემა შესაძლებლობა, ქვეყანაში დესტაბილიზაცია მოაწყოს. ვინც რაიმე უკანონო ნაბიჯს გადადგამს, ამას შესაბამისი რეაგირება მოჰყვება. ეს კონკრეტული მანიფესტაცია მათთვის კულმინაციაა, რომ ქვეყანაში სიტუაცია მაქსიმალურად დაძაბონ. მოდელირებული და შეთითხნილი ჩანაწერებით არეულობის მოწყობა ვერ შეძლეს, ახლა კი, ამ აქციით ცდილობენ. ეს, რა თქმა უნდა, მერის კომპეტენციას ცდება და დეტალებში არ შევალ. იმედია, შესაბამისი სამსახურები ამის შესახებ მომდევნო დღეებში სიღრმისეულად ისაუბრებენ“, – განაცხადა კახა კალაძემ.

ირაკლი კობახიძე: ნაციონალურ მოძრაობას არ მივცემთ იმის საშუალებას, რომ თუნდაც მინიმალურ დონეზე არიონ ქვეყანა!

„ნაციონალურ მოძრაობას არ მივცემთ საშუალებას, თუნდაც მინიმალურ დონეზე არიონ ქვეყანაში სიტუაცია“ – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძემ ტელეკომპანია იმედის თოქშოუში „პირისპირ“.

მისი თქმით, მოსახლეობის ნაწილს გაგონება არ უნდა არაფრის, რაც ნაციონალურ მოძრაობასთან არის დაკავშირებული და ასეთ ვითარებაში, ბუნებრივია, ვერანაირ არჩევნებს ვერ მოიგებენ. შესაბამისად, ვერც ერთ მათგანს ვერ ექნება ილუზია იმის თაობაზე, რომ მოიგებენ საპრეზიდენტო არჩევნებს.

„მათ ამ შემთხვევაში აქვთ ერთგვარი რევოლუციური სცენარები, რაზეც საუბრობდნენ მიხეილ სააკაშვილი, ვაშაძე და სხვები. ამაზე გვესაუბრებოდნენ 2016, 2017 წელსაც, გვესაუბრებიან დღესაც, თუმცა ვნახეთ და დავამტკიცეთ არაერთხელ, რომ ხელისუფლება არის ხელისუფლება და ნაციონალურ მოძრაობას არ მივცემთ საშუალებას, რომ თუნდაც მინიმალურ დონეზე არიონ ქვეყანაში სიტუაცია“, – განაცხადა პარლამენტის თავმჯდომარემ.

ირაკლი კობახიძის თქმით, სალომე ზურაბიშვილის თითქმის ყველა წინასაარჩევნო შეხვედრაზე ნაციონალური მოძრაობა აწყობს დესტრუქციას, ოპოზიციური პოლიტიკური მოძრაობის აქტივისტები ცდილობენ შეხვედრების ჩაშლას და სალომე ზურაბიშვილის მხარდამჭერებს ღიად უპირისპირდებიან. მისივე თქმით, „ქართული ოცნების-თვის“ პრინციპულად მიუღებელია ამ დესტრუქციას იგივე მეთოდით უპასუხონ, რადგან „ქართული ოცნება“ აწარმოებს ევროპული ტიპის წინასაარჩევნო კამპანიას და არჩევნების მოგებასაც ამ ტიპის კამპანიით აპირებს.

„დღეს რეალურად ბოლო რესურსს ხარჯავს ნაციონალური მოძრაობა, იმ ფულის ჩათვლით, რომელიც ხალხისგან აქვთ ნაშოვნი 2012 წლამდე, ეს არის ბოლო მობილიზაცია და წარუმატებლობისთვის არის განწირული“, – განაცხადა კობახიძემ.

ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობაც ნაძირალა სააკაშვილის შეკვეთილი იყო!

(პირველი გვერდიდან)

„საქართველოს პროკურატურის მიერ გახსნილია ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობის მომზადების ფაქტი. სასამართლოს მიერ გაცემული განჩინების საფუძველზე, სამსახურებრივი უფლებამოსილების გადამეტების და დამამძიმებელ გარემოებებში ჩადენილი მკვლელობის მომზადების ფაქტზე, დაკავებულია კონსტიტუციური უსაფრთხოების დეპარტამენტის თბილისის მთავარი სამმართველოს მეორე სამმართველოს პირველი სამსახურის ყოფილი უფროსი გ.მ., მეორე მთავარი სამმართველოს უფროსის ყოფილ მოადგილეს ლ.ქ.-ს და ამავე სამმართველოს მეორე სამსახურის უფროსს რ.შ.-ს კი წარედგინათ ბრალდებები.

ჩატარებული გამოძიებით დადგენილია: საზოგადოებისთვის კარგად ცნობილ ე.წ. „ფარული კადრების ჩამწერი პირების საქმეზე“, ერთ-ერთი ბრალდებულის საცხოვრებელ სახლში ჩატარებული ჩხრეკის დროს, აღმოჩენილ იქნა საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს კუთვნილი ხმის ჩამწერი მოწყობილობა, რომელზედაც ჩატარებული ექსპერტიზით დადგინდა, რომ 2007 წლის 4 და 5 თებერვლის ორი ჩანაწერი, კონკრეტული პირის ლიკვიდაციის მომზადების საკითხს შეეხებოდა.

კერძოდ, 2007 წლის 4 თებერვლის ჩანაწერში კუდის მაღალჩინოსანი გ.დ. ესაუბრება ბადრი პატარკაციშვილის დაცვის წევრს და მის გადმობირებას ცდილობს. საუბრისას გ.დ. ადასტურებს, რომ მკვლელობის მომზადების საკითხი სანქცირებულია საქართველოს იმდროინდელი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის მიერ, რადგან ბადრი პატარკაციშვილი მათი პოლიტიკური ოპონენტი და ხელისუფლების დაუძინებელი მტერია. ჩანაწერის მიხედვით, ასევე დგინდება, რომ ლიკვიდაცია კუდმა უნდა განახორციელოს.

რაც შეეხება მეორე ჩანაწერს, რომელიც 2007 წლის 5 თებერვლით თარიღდება, მასში ასახულია ე.წ. „მოდულის“ შენობაში გამართული თათბირი, რა დროსაც კუდის მაღალჩინოსანი გ.დ., მის დაქვემდებარებაში მყოფი ასევე კუდის თანამშრომლები და ამჟამად ბრალდებულები ლ.ქ.; რ.შ. და გ.მ., პოლიტიკური სივრციდან ჩამოშორების მიზნით, ბადრი პატარკაციშვილის მკვლელობას ამზადებენ. საუბრის მიხედვით, ისინი განიხილავენ პატარკაციშვილის ლიკვიდაციისთვის შესაბამისი პირობების შექმნას, მათ შორის დაცვის თანამშრომელთა სიის მოპოვების და პერსონალის შესახებ ინფორმაციის შეგროვების შესაძლებლობებს. ასევე მსჯელობენ მკვლელობის სხვადასხვა გზებზე, კერძოდ, მისი ისეთი ნივთიერებით მოწამვლაზე, რაც ბუნებრივი სიკვდილის ეფექტს გამოიწვევს. ამავე საუბრის თანახმად დგინდება, რომ ყველა საკითხი, მათ შორის ბადრი პატარკაციშვილის ლიკვიდაციის შესაბამისი მეთოდები თანხმდება კუდის იმდროინდელ ხელმძღვანელ დათა ახალაიასთან.

საქმეზე დაკითხული არაერთი მოწმის ჩვენებით და მოპოვებული წერილობითი მტკიცებულებებით დადასტურდა, რომ მკვლელობის მოსამზადებლად მუდმივად კონტროლდებოდა ბადრი პატარკაციშვილის გადაადგილების მარშრუტი, მათ შორის აეროპორტის ის გასასვლელები, რომლითაც იგი სარგებლობდა.

ამასთან, გარდა იმისა, რომ რ.შ. სისტემატურად აგროვებდა დაცვის წევრების შესახებ მონაცემებს, ასევე, კუდის თანამშრომლები, მათ მიერვე დაკავებულ პატარკაციშვილის დაცვის რამდენიმე წევრს, მკვლელობის მომზადებისთვის საჭირო პირობების შექმნის სანაცვლოდ, მათ მიმართ დაწყებული დევნის ნაწილში სხვადასხვა სახის შეღავათებს სთავაზობდნენ.

პროკურატურის მიერ მხილებული, ჩანაწერის მონაწილე კუდის სამი მაღალჩინოსნის მიმართ სისხლისამართლებრივი დევნა მიმდინარეობს საქართველოს სსკ-ის 18, 109-ე მუხლის მეორე ნაწილის „ე“ ქვეპუნქტითა და ამავე მუხლის მესამე ნაწილის „ვ“ ქვეპუნქტით და ამავე კოდექსის 333-ე მუხლის პირველი ნაწილით, რაც სასჯელის სახედ თექვსმეტიდან ოც წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს.

რაც შეეხება კუდის კიდევ ერთ ყოფილ მაღალჩინოსანს გ.დ.-ს, საზოგადოებას შევახსენებთ, რომ საქართველოში მისი ექსტრადირება ნიდერლანდების სამეფოში დაკავების შემდეგ განხორციელდა. შესაბამისად, მის მიმართ დევნის დაწყებისა და ექსტრადირების განმახორციელებელი ქვეყნის თანხმობის მისაღებად, პროკურატურა საერთაშორისო ხელშეკრულებებით გათვალისწინებულ პრაქტიკას გამოიყენებს.

ამ ეტაპზე საქმეზე გრძელდება გამოძიება დანაშაულის ჩადენაში მონაწილე სხვა პირთა დადგენა-მხილების მიზნით“.

მოამზადა „აქცენტმა“

◎ ...სხვამ რატომ უნდა გვცეს პატივი?

საქართველოს რუკის დამახინჯება სისხლის სამართლის დანაშაულია!

როგორც ჩვენი გაზეთის ფურცლებიდან ვიუწყებოდით, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე საქართველოს რუკის გამოსახვა სისხლის სამართლის დანაშაული გახდება. საქართველოს პარლამენტის თავდაცვისა და უშიშროების კომიტეტის თავმჯდომარე ირაკლი სესიაშვილი საკანონმდებლო ორგანოსთვის შესაბამისი კანონპროექტის წარდგენას გეგმავს. დეპუტატის თქმით, რუკების მსგავსი სახით მომზადება- გავრცელება რუსული პროპაგანდის ნაწილია, რის ასაცილებლადაც აუცილებელია საკანონმდებლო ჩარჩოს შექმნა.

სავარაუდოდ, მსგავსი დარღვევის ჩამდენი პირი ჯარიმას, ან 2 წლამდე თავისუფლების აღკვეთას დაექვემდებარება. სანქციებს დაექვემდებარებიან ის უცხოური კომპანიებიც, რომლებიც მსგავს რუკებს დაამზადებენ, მათ საქართველოში ბიზნესსაქმიანობა შეეზღუდებათ.

აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე საქართველოს რუკების გამოსახვით რუსები პერიოდულად გვანებივრებენ. სულ ბოლოს ასეთი ფაქტი ოქტომბრის დასაწყისში გამოვლინდა, როცა ბათუმის საჭადრაკო ოლიმპიადის მონაწილეებისთვის გადაცემული რუსული დელეგაციის „საჩუქარი“ იყო საქართველოს რუკა აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე.

მომხდართან დაკავშირებით რუსეთის ჭადრაკის ფედერაციის აღმასრულებელმა დირექტორმა მარკ ლუხოვსკიმ აღნიშნა, რომ ეს რუკა მას ნანახი არ ჰქონდა, პოლიტიკა აქ არაფერ შუაშია და საეჭვოა, ეს იყოს იდეოლოგიური დივერსია. უბრალოდ, შეცდომა მოუვიდა დიზაინერს და იმ ქართულ სტამბას, სადაც აღნიშნული რუკა დაიბეჭდა.

შეაჩერებს თუა არა ოკუპანტს კანონი, რომლის თანახმადაც, აფხაზეთისა და ცხინვალის რეგიონის გარეშე საქართველოს რუკის გამოსახვა სისხლის სამართლის დანაშაული გახდება?!

ისტორიის მეცნიერებათა დოქტორი, სასაზღვრო საკითხების დამოუკიდებელი ექსპერტი, საპრეზიდენტო კანდიდატი **გელა ხუციშვილი** For.ge-სთან საუბარში აცხადებს, რომ ეს იქნება მორიგი ახალი კანონი, რომელიც არ იმუშავებს და დარჩება უბრალო კანონად ისევე, როგორც კანონი ოკუპაციის შესახებ.

„მე, როგორც მესაზღვრე, ამ საკითხთან დაკავშირებით შედეგს ვერ ვხედავ, რადგან პრაქტიკაში არ ჩანს ამის გამოყენების შესაძლებლობა. კანონი კანონისთვის არაფერია. თუ ჩვენ საერთაშორისო სამართლის ნორმებით ვიმოქმედებთ და ამაში საერთაშორისო ტრიბუნალს ჩავრთავთ, მაშინ სხვა საქმეა. რაც შეეხება ცალკეულ ბიზნესკომპანიებთან მიმართებით სამართლებრივი საფუძვლის ამოქმედებას, ეს ხელშეკრულებაში უნდა იყოს ჩადებული. თუ ასეთი დამრღვევი ორგანიზაცია გამოვლინდება და მას საერთაშორისო არბიტრაჟში ვუჩივლებთ, ეს შეიძლება შედეგის მომტანი იყოს. თუმცა ჩვენი ქვეყნის შიდა ტერიტორიაზე მოქმედი კანონი რამდენად გასათვალისწინებელი იქნება საერთაშორისო არბიტრაჟისთვის, ეს მეორე საკითხია“, — აცხადებს გელა ხუციშვილი და მიიჩნევს, რომ საქართველოს ტერიტორიული მთლიანობა არა მარტო რეალურად ირღვევა, რაც რუკებზეც დარღვევით აისახება, არამედ ქართველებიც ვარღვევთ ჩვენსავე ტერიტორიულ მთლიანობას.

კერძოდ, წლების მანძილზე საქართველომ ვერ მიაღწია იმას, რომ საქართველოს რუკაზე დატანილი იყოს საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და საქართველოს ეკონომიკური ზონის მაჩვენებელი. დღემდე შეტანილი არ გვაქვს ჩვენი ტერიტორიის ფარგლებში 7 ათასი კვადრატული კილომეტრი. ეს არის კონტინენტური შელფი, რომელიც ჩვენსავე ტერიტორიული წყლების ქვემოთ მდებარეობს. ამდენად, გელა ხუციშვილს აინტერესებს, როდესაც ეს არ იცის პარლამენტარმა და კომიტეტის თავმჯდომარემ, როცა ჩვენ თვითონ არ ვცემთ პატივს ჩვენს ტერიტორიას, სხვამ რატომ უნდა გვცეს პატივი?!

„ჩვენმა ხელისუფლებამ ძალიან კარგად იცის ამ შელფის ფასეულობა, მაგრამ არ შეაქვთ ეს რუკაზე. არადა, 1982 წელს შავ ზღვასთან დაკავშირებით კონვენცია მიიღეს, რომელსაც 1993 წელს ჩვენც მივუერთდით. ამ კონვენციის თანახმად, შავ ზღვაზე ტერიტორიული წყლების სიღრმე არა უმეტეს 12 მილის უნდა ყოფილიყო. ეს ჩვენი ქვეყნის ტერიტორიაა, მასზე ვრცელდება ისეთივე სასაზღვრო რეჟიმი, როგორც ქვეყნის სხვა ტერიტორიაზე. ამის ქვემოთ ფსკერია, რომელიც კონტინენტური შელფია და ჩვენს აბსოლუტურ საკუთრებას წარმოადგენს. და ეს ქვეყნის მთლიანი ტერიტორიის ფართობში არ არის შეტანილი. გეკითხებით, საქართველოს ტერიტორიული წყლებისა და ეკონომიკური ზონის გარეშე რუკების გამოხატვა არის თუ არა იგივე დანაშაული? ეს რუკა ხომ მთლიანად არ აფიქსირებს საქართველოს ტერიტორიას?“ — აცხადებს გელა ხუციშვილი.

მისივე განმარტებით, ჩვენ ახლა ვიმყოფებით საგანგებო მდგომარეობის რეჟიმში, ქვეყნის ტერიტორიის უზარმაზარი ნაწილი დაკარგულია, პროდუქტიული მოსახლეობის დიდი ნაწილი კი ქვეყნიდან გასულია. მავანნი ამ ადამიანებს კიდევ სთავაზობენ, წადით უცხოეთში და სამუშაოს გიშოვითო.

აბსოლუტურად საკმარისია ჩვენი სამხედრო პოტენციალი იმისთვის, რომ სოციალური ბიუჯეტი კი არ გვქონდეს, არამედ ქვეყნის სახელმწიფო ინტერესების უზრუნველყოფის ბიუჯეტი გაგვაჩნდეს. შესაბამისად, უნდა განვავითაროთ ის დარგები, რაც ქვეყნის უსაფრთხოებას უზრუნველყოფს.

მანანა ნოზაძე

ქათმის სიბრმავე!

ავტორისეული წინათქმა

ეს სათაური შემთხვევითი არ არის. დიახ, ქათმის სიბრმავე, სხვა არაფერი შეიძლება ვუწოდოთ წლების მანძილზე იმის დაუნახაობას, რა დიდი სიკეთის მოტანა შეუძლია მუდმივად განახლებად სიმდიდრეს, საქართველოს მიწისქვეშა წყლებს, თუ მინერალური წყლებივით ეჩოსავით მხოლოდ თავისკენ მიმთლელებს კი არ ჩავუგდებთ ხელში, არამედ ისეთივე საყოველთაო სახალხო საკუთრება გახდება, როგორც ნავთობი გაერთიანებულ საემირატოებში.

ახლოს ვიცნობდი და ხშირი ურთიერთობა მქონდა ბატონ იოსებ ბუაჩიძესთან, რომელსაც ჩემი რედაქტორობით გამომავალი გაზეთების მკითხველებისთვის არაერთხელ უამბნია იმ დიდ სიმდიდრეზე, რაც ჩვენი ქვეყნის წიაღშია. განსაკუთრებით გამოყოფდა თერმულ და სასმელ წყლებს, რომლებიც, მისი ღრმა რწმენით, საქართველოს მოსახლეობას სიღატაკისა და ენერგეტიკული კრიზისისგან დაიხსნიდა. ამ მამულიშვილურ იდეას შეეწირა მისი ვაჟი, პროფესორი გურამ ბუაჩიძე, რომელსაც ერთ-ერთი მდინარის დებეტის დადგენისას ფეხი დაუცდა და კლდიდან გადაიჩეხა.

ტექნიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრმა, პროფესორმა პაატა გიორგაძემ, რომელმაც თანამოაზრეთა და მხარდამჭერთა დიდ რაოდენობას მოუყარა თავი, სახელოვანი მამა-შვილისა და არანაკლებ ცნობილი სხვა ქართველი ჰიდროლოგების ნამოღვაწარზე დაყრდნობით მიაგნო ჩვენს ქვეყანაში გამეფებული საყოველთაო სახალხო სიღატაკიდან თავდაღწევის რეალურ გზას — და შემოგვთავაზა მიწისქვეშა წყლების ინდუსტრიალიზაციის პროექტი, რომელზეც უკვე ბევრი ითქვა და დაიწერა (მათ შორის გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაშიც“), რამეთუ ძალზე შთამბეჭდავ, მეცნიერულად ღრმად დასაბუთებულ და პრაქტიკულად უკვე შემოწმებულ იმ დადებით მაგალითს ეყრდნობა,რომელმაც „დაამდიდრა სუსტნი და არასმქონენი“ ქვეყნები.

სწორედ ამ პრობლემას ეძღვნება ბატონ პაატა გიორგაძისა და მისი მრავალრიცხოვანი თანამებრძოლების დიდი აქცია, რომელიც გაიმართება კვირას, 21 ნოემბერს თბილისის შრომის სასახლეში.

რას ფიქრობ,პატივცემულო მკითხველო? რა აჯობებს, სიღატაკისგან თავდაღწევის პაატა გიორგაძისეული პროექტის საყოველაო-სახალხო მხარდაჭერა, თუ კანაფის გავრცელებით საქართველოს ავღანიზაცია.

უკვე დროა, რომ ქვეყნის ხელისუფლებას გამოსაფხიზლებლად კიდევ ერთხელ ანკარა ცივი წყალი გადავასხათ, რათა სამუდამოდ განიკურნოს საშინელი სენისგან — ქათმის სიბრმავისგან!

წყლის ძალა

პაატა გიორგაძეს

დღეს მთავრობას „ოცნებისას“
ტვირთად აწევს მისია,
გვითხრას, ღმერთი რასაც გვაძლევს,
აქამდე რომ სხვისია,
ეჩოობას როდის დაძლევს,
ვინც ხარბი და მქისია?
სიმწრით ვამბობთ, რომ უწყალოდ
საქართველო წვალობდა,
და იმედი გაგვიწყალეს
მაცოცხლებელ წყაროთა;
მაინც გვწყალობს ღვთისმშობელი,
როგორც მუდამ გვწყალობდა!
თუ მიწა და ცანათელი
თაღლითს ბედს არ მიანდობს
და ვერაფერს წაგვართმევენ
მავანთა საპირადოდ,
გაბრწყინდება საქართველო,
როგორც საემირატო!
სიმდიდრე გვაქვს
და რომ ვიგრძნოთ
ქვეყნად დარის დარობა,
ძილს შეეშვას, გაიღვიძოს
საქართველოს მთავრობამ;
საქმიანმა ხალხმაც, ვინძლო,
შეძლოს უანგარობა!
გადავწიოთ ჩვენს ფანჯრებზე
დაშვებული შტორები,
დავიხედოთ საათებზე,
დრო გვაქვს გასასწორები;
კარიბჭესთან კვლავ ამ ჯერზეც
დგანან ინვესტორები!
საქართველოვ, შე საწყალო,
რომ გკლავს მაწანწალობა,
ღვთისმშობელი რადგან გწყალობს,
შეიფერე წყალობა
და შეგმატებს ყველა წყარო,
წყალუხვ ძალას წყაროთა!

ალექსანდრე შენგელია,
ქუთაისიდან

უფასო ინტერნეტი ავტობუსებში

მიმდინარე წლის ბოლოდან, MAN-ის მარკის ახალ ავტობუსებში უფასო უკაბელო ინტერნეტი დამონტაჟდება. ამის შესახებ თბილისის მერმა კახა კალაძემ დედაქალაქის მთავრობის სხდომაზე განაცხადა.

მისივე თქმით, საზოგადოებრივი ტრანსპორტის მგზავრებისთვის კომფორტის შექმნა ძალიან მნიშვნელოვანია.

„ჩვენ ხშირად ვსაუბრობთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის განვითარებაზე და ამაში მხოლოდ ავტოპარკის განახლებას და ხაზების დამატებას არ ვგულისხმობთ. განვითარების ნაწილად მივიჩნევთ საზოგადოებრივი ტრანსპორტის აღჭურვას დამატებითი სერვისებით. ჩვენი ინიციატივაა და ამას აუცილებლად გავაკეთებთ, რომ სავარაუდოდ, წლის ბოლოდან, MAN-ის მარკის ავტობუსებში უკაბელო ინტერნეტი დამონტაჟდეს, რომელიც ყველა მგზავრისთვის ხელმისაწვდომი იქნება. მგონია, რომ საკმაოდ მნიშვნელოვანია, რომ ადამიანებს მიეცეთ შესაძლებლობა, MAN-ის მარკის ავტობუსებში უფასო ინტერნეტით ისარგებლონ “, — განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერის თქმით, 2019 წლის ბოლოსთვის, ე.წ. ყვითელი ავტობუსების პარკი თანამედროვე, ეკოლოგიურად სუფთა ავტობუსებით სრულად ჩანაცვლდება.

ტვინის ჭყლეტა

ახლა 2018 კი არა, 1918 წელი რომ იყოს, ამ დღეებში გაზეთები ასეთი მოწოდებებით გამოვიდოდა: „მოქალაქენო, სამშობლო საფრთხეშია!“, „მტერი კარზეა მომდგარი!..“

ხოლო თუ რატომ არის სამშობლო საფრთხეში, ვინ მტერია კარზე მომდგარი, ან უფრო სწორად, ვინ არის ის მტერი, ვინც კარზეა მომდგარი, არავისთვის არ არის საიდუმლო...

კარზე მომდგარია არეულობა, ბუნტი, ანგარიშსწორება, სამოქალაქო დაუმორჩილებლობა და ათასი უკულმართობა, რასაც ხმამაღლა გვპირდებიან ავანტიურისტები და მათ ფეხის ხმას აყოლილი, მათი პროპაგანდით გაბრუებული გადამრბენ-გადმომრბენები, რომლებიც ნაციონალი ალქიმიკოსების მიერ საეჭვოდ გამოჩიჩქნილი ყოველი ახალი „მხილების“ აფრიალებისთანავე „ირხევიან, ვითარცა ლერწამნი ქართაგან ძლიერთა“.

იმ დღეს აღელვებული მოვიდა რედაქციაში ჩვენი კოლეგა, პენსია ავიღე, ბანკში თანატოლ პენსიონერებთან ცხარე კამათი მომივიდა., ხმაურიანად განიხილავდნენ „სუბელიანის ვიდეოჩანაწერს“, ანუ იმას ახმოვანებდნენ, რაც წინა საღამოს მოისმინეს „რუსთავი-2“-ით. თურმე რეები ხდებაო, თურმე ხელისუფლება საერთოდ აღარ გვყოლიაო. ერთადერთი გზა გვრჩება — საპრეზიდენტო არჩევნებში ნაციონალს მივცეთ ხმაო.

რატომ-მეთქი, ვკითხე.

რატომ და პენსიის 400 ლარამდე გაზრდას გვპირდებაო.

ჯერ ერთი, ახალი კანონით პრეზიდენტს ვინ ჰკითხავს პენსიის მომატებას და მეორეც, საიდან, რა ხარჯებიდან აპირებს 400 ლარამდე გაზრდას-მეთქი.

ეგ ჩვენ არ ვიცით, კაცი გვპირდება და, ალბათ, კიდეც შეუძლიაო. ეგეც არ იყოს, სიტყვას იძლევა, თუ ვერ მოგიმატეთ, უფლებას გაძლევთ, გადამაყენოთო. ამაზე მეტი გარანტია რა გინდა, არ დავუჯეროთ?!

დაუჯერეთ, აირჩიეთ, ჩვენო შეჭირვებულო დეიდებო და ბიძიებო, მაგრამ ნურც 400 ლარი პენსიის იმედი გექნებათ და, მით უფრო, ნურც იმისა, რომ პრეზიდენტის ტახტზე დაბრძანებულ გრიშა ვაშაძეს გადააყენებთ, სიტყვა რატომ არ შეასრულეო. ეგ კი არა, თვითონაც რომ მოინდომოს, იმ ტახტიდან ფეხსაც არ ჩამოადგმევინებენ სეფეკაცები, რომლებსაც, ალბათ, სისხლის ფასად დაუჯდებათ ამ „გამოჩენილი დიპლომატის“ გაპირველკაცება, ეს პატივი ერთადერთი მიზანდასახულობის აღსასრულებლად რომ მოიპოვა: მან პრეზიდენტის დეკრეტით შინ უნდა დააბრუნოს ევროპა-ამერიკაში უთავბოლოდ მოყიალე ყოფილი პრეზიდენტი და ციხიდან იხსნას მერაბიშვილი, ახალაია და სხვანი ბოროტნი, რომელთა უკეთურობით სატუსაღოს კედლებიც ძრწიან.



ტვინის ჭყლეტა.
ლადო გუდიაშვილის ნახატი

და, მეორე, არანაკლებ მნიშვნელოვანი ამ პირველზე: დაჩქარებული წესით, რიგგარეშე, ვადამდელი საპარლამენტო არჩევნების დანიშვნა!

ო,ო, ო!!!

ამრიგად, დაკისრებული მისიის სიმძიმით შეშინებული ეს სელაპა კაცი „ოცნების“ კუბოზე დაჭედებული ლურსმანია!

ოღონდ თუ გაუძლო, თუ არ გაიღუნა!

გაძლების მხრივ, რა თქმა უნდა, ევრონაცების ჯილა დავით ბაქრაძე აჯობებდა — გინდა თავში უჩაჩქუნეთ, ვერ გაამრუდებთ. განა იმიტომ, რომ სულით უდრეკია, არამედ იმიტომ, რომ, უბრალოდ, პიტალოა. როგორც ჩანს, პრეზიდენტობის კანდიდატთა მამამძუძედ შლეგმა და დოღრიალა ნიკანორ მელიამ აჯობა ნაციონალთა ბოროტ გენიას გიგა ბოკერიას.

ვერაფერს იტყვი, სენთიანად იქცევიან ნაცპრეზიდენტობის კანდიდატები და მათი კლაკერები. რას არ იგონებენ, რას არ აგორებენ, რას არ ჩიჩქნიან! სამართლიანობისა გამო უნდა ითქვას, მიზანშიც ახვედრებენ. კარგად თუ ცუდად, მაგრამ მაინც ახვედრებენ.

სამიზნედ „ქართული ოცნება“, მისი შეცდომები და შეუსრულებელი დაპირებებია. დაბოლოს, პრეზიდენტობის კანდიდატად სალომე ზურაბიშვილი ჰყავთ, და მოედინება ჭორი, სიბინძურე, ცილისწამება, რომელშიც აქა-იქ თუ გაიელვებს სიმართლე, ოღონდ დაკბეჩილი, დაჩხვლეტილი, დამცრობილი.

ირჯებიან შესაძლებლობათა ზღვარზე, არაფერს თაკილობენ, არაფერზე უკან არ იხევენ. მაგრამ ისვრიან, ისვრიან...

მიმდინარეობს ამომრჩევლის ტვინის გამორეცხვა, უფრო სწორად — ტვინის ჭყლეტა, ჯიუტად, გამიზნულად, მიზანსწრაფულად და ის გაბეზრებული ამომრჩეველი, რომელმაც დაიჯერა, რომ თავისით მივიდა დასკვნამდე — ვის მისცეს ხმა, ადგილზე ცმუკავს 28-ის მოლოდინში.

სანდრო ალექსიძე

„ნაციონალური მოძრაობა“ ფაშიზმის საგანგაშო ნიშნების მატარებელია!

(პირველი გვერდიდან)

საოცარია: ფაშისტები მათთვის არაერთგზის უწოდებიათ და, როგორც ჩანს, მათი გაღიზიანება გამოწვეულია მომავალი საპრეზიდენტო არჩევნებით. პირადად ჯერ კიდევ 2006 წელს, ე. წ. ნაციონალური მოძრაობა მოვიხსენიე, „ფაშიზმის საგანგაშო ნიშნების მატარებლად“ (იხ. ჩემი წიგნი „ბოროტება, მისი ნიშნები და მისი გამოვლინება საქართველოში“, თბ., 2006, გვ. 356). მართალია, სააკაშვილსა და ჰიტლერს ან მუსოლონის შორის ისეთივე განსხვავებაა, როგორც კატის კნუტსა და ვეფხვს შორის, მაგრამ ორივენი კატისებრი ოჯახის წარმომადგენელია, ანუ ორივენი ერთი ნიშნით არიან შემკული.

მოკლედ განვიხილოთ ფაშიზმის არსი და მკითხველს მივანდოთ გადაწყვეტა, თუ რამდენად ჰგავს იგი ჩვენს „ნაციონალურ მოძრაობას“. ამისთვის მივმართოთ ფაშიზმის მამამთავარ ბენიტო მუსოლინის და ფაშიზმის მისეულ განსაზღვრებას. მუსოლინის განსაზღვრებით, ფაშიზმი წარმოადგენს „ორგანიზებულ, კონცენტრირებულ, ავტორიტარულ დემოკრატიას ნაციონალურ საფუძველზე“. მუსოლინის ეს ციტატა აღებული მაქვს თანამედროვე გერმანელი ფილოსოფოსისა და ისტორიკოსის ერნსტ ნოლტეს წიგნიდან „ფაშიზმი თავის ეპოქაში“ (მიუნხენი, 1963).

საგულისხმოა, რომ საქართველოს მეზობლებიც პროფაშისტური ტენდენციების მატარებელი არიან. ნოლტეს თქმით, „საზღვრების საკითხის მოგვარების დროს არანაირად არ ვლინდებოდა ინტერნაციონალური ფაშისტური სოლიდარობა. ეს მეგობრები იმავდროულად წარმომადგენელი იყვნენ მტრული ნაციონალიზმისა და ამის გამო ურთიერთმიმართ უბოროტეს მტრებად გვევლინებოდნენ“.

მაგრამ რა დროს გადადის ნაციონალიზმი ფაშიზმში? ეს მით უფრო საგულისხმო შეკითხვაა, ვინაიდან როგორც ერნსტ ნოლტე გვამცნობს, „მარქსიზმისგან განსხვავებით, ფაშიზმი არ განვითარდა უშუალო კავშირში ფილოსოფიურ აზროვნებასთან; იგი თავის საწყისებში გაგებულ იქნა, როგორც სავსებით არათეორიული პოლიტიკური დაჯგუფება გარკვეული ემპირიული მიზნის მისაღწევად (მაგალითად, იტალიაში სოციალისტური რევოლუციის მცდელობის ჩასახშობად). თავდაპირველად ასეთივე იყო მუსოლინის შეხედულებაც, რომელმაც მთავარ პრინციპად ქმედების უპირატესობა მიიჩნია“.

„ვარდების რევოლუციის“ დასაწყისში ტელევიზორის მაყურებელს, ალბათ, კარგად დაამახსოვრდა გადაცემა მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სარკეებიანი დარბაზიდან, როდესაც მიკროფონთან მდგარმა ელდარ შენგელაიამ მრისხანე სახით რიხიანად განაცხადა: ვინც წინ დაგვიდგება, გადავუვლით და გავსრესთო...

ბოლოს და ბოლოს, საქმის არსი ტერმინში კი არ არის, არამედ შინაარსში, რომელსაც იგი გამოხატავს. ამის დასაზუსტებლად შესანიშნავ მაგალითს იძლევა იტალიელი მწერლისა და მეცნიერის უმბერტო ეკოს, რომელიც თავად შეესწრო იტალიური ფაშიზმის ბობოქრობას თავის სამშობლოში, ესე „მარადიულ ფაშიზმზე“ (იხ. მისი „ხუთი ესე ეთიკის თემაზე“, „ს-პეტერბურგი, 2000). იგი წერს: „ფაშიზმი საერთოდ ასოცირებას უნდა ახდენდეს იტალიასთან. მაგრამ გადაიკითხეთ ჰემინგუეის „ვის გამო რეკავს ზარი“; რობერტ ჯორდანი თავის მტრებს ფაშისტებს უწოდებს, თუმცა ისინი ესპანელი ფალანგისტები არიან. იგი განაგრძობს: „გერმანული ნაციზმი იყო უნიკალური. ჩვენ არ შეგვიძლია, ვუწოდოთ ნაციზმი ფრანკოს ჰიპერკათოლიკურ ფალანგიზმს, იმიტომ, რომ ნაციზმი გამოირჩეოდა სიღრმისეული წარმართობით, პოლითეიზმითა და ანტიქრისტიანობით, ან ეს არ იყო სრულიადაც ნაციზმი (როგორ ფიქრობ მკითხველო, „სიღრმისეული ანტიქრისტიანობა“ არ ახასიათებდა სააკაშვილის რეჟიმს? ვ. რ.). მაგრამ აი, ტერმინ „ფაშიზმით“, ამის საპირისპიროდ, მრავალნაირად შეიძლება თამაში“. უმბერტო ეკო განაგრძობს: „ტერმინი „ფაშიზმი“ იხმარება ყველგან, ვინაიდან, თუნდაც ჩამოვაშოროთ იტალიურ ფაშისტურ რეჟიმს ერთი ან რამდენიმე ასპექტი, იგი მაინც შეიცნობა, როგორც ფაშისტური. თუ ჩამოვაშორებთ იტალიურ ფაშიზმს იმპერიალიზმს, მივიღებთ ფრანკოს ან სალაზარს. თუ მას კოლონიალიზმს ჩამოვაშორებთ — გამოდის ბალკანური ფაშიზმი. თუ იტალიურ ფაშიზმს დავუმატებთ რადიკალურ ანტიკაპიტალიზმს (რითაც არასოდეს სცოდავდა მუსოლინი), გამოდის ეზრა პაუნდი. ვუმატებთ რა გაგიჟებას კელტურ მითოლოგიასა და გრაალის კულტზე (რაც აბსოლუტურად უცხოა იტალიური ფაშიზმისათვის), და ჩვენს წინ არის ერთ-ერთი ყველაზე უფრო საპატივცემულო ფაშისტური გურუ-იულიუს ევოლა“.

„ეს უთანხმოება რომ გადავლახოთ, — განაგრძობს უ. ეკო, — ჩემი აზრით, საჭიროა მარადიული ფაშიზმის (ურ-ფაშიზმის) ტიპურ დახასიათებათა სიის შედგენა; ამ დახასიათებათაგან საკმარისია თვით ერთის არსებობა, რომ დაწყებულ იქნეს კონდენსირება ფაშისტური ნისლოვანებისა“.

უმბერტო ეკოს ამ დახასიათებათა ვრცელი სიიდან ჩვენ მხოლოდ რამდენიმეს მოვიტანთ. მაგალითად: „ეჭვიანობა ინტელექტუალური სამყაროსადმი ყოველთვის გვამცნობს ურ-ფაშიზმის ყოფნას“. შემდეგ: „თანამედროვე კულტურაში მეცნიერული საზოგადოება პატივს სცემს არდათანხმებას, როგორც მეცნიერული განვითარების საფუძველს. ხოლო ურ-ფაშიზმისათვის „არდათანხმება არის ღალატი“.

დასასრულ, არჩევნებში ჩემი პოზიცია მსურს, გრიგოლ ორბელიანის სიტყვებით გამოვხატო, რა თქმა უნდა ხუმრობით:

არავისთვის დღეს მე არა მცალიან
სალომესთან სადილად მეძახიან!

ანუ დაბეჯითებით ხმას სალომე ზურაბიშვილს ვაძლევ. აქვე არ შემიძლია, არ გავიხსენო მისი აწ განსვენებული მეუღლე ჯანრი კაშია. ცხონებულმა, ქართულ-ევროპული ინსტიტუტის სახელით, პრემიით აღნიშნა ჩემი თარგმანი ა. ბრუნერის წიგნისა — „ფილოსოფიის ძირითადი საკითხები“.

ვიქტორ რცხილაძე

პრემიერი „ომეგა ჯგუფის“ ჩანაწერებზე საუბრობს

მამუკა ბახტაძე „ომეგა ჯგუფის“ საქმესა და გავრცელებულ ჩანაწერებს კიდევ ერთხელ ეხმაურება. საქართველოს პრემიერი ამბობს, რომ გადასახადებს ბიუჯეტში ყველა გადაიხდის, ჩანაწერები კი წინასაარჩევნოდ საზოგადოებაში დისონანსის შემოტანას ემსახურება.

„რაც შეეხება საქართველოში ბიზნესისა და მისი ინტერესების დაცვას, ესეც ყველასთვის ნათელია და ამას მოწმობს ჩვენი პოზიცია საერთაშორისო რეიტინგებში.

ის, რაც გავრცელდა სხვადასხვა ჩანაწერების სახით, დარწმუნებული ვარ, საზოგადოება კარგად გაერკვევა, საგამოძიებო ორგანოები შესაბამის შეფასებას მისცემენ, მაგრამ აქვე სრული პასუხისმგებლობით მინდა აღვნიშნო, რომ გადასახადსაც საქართველოს ბიუჯეტში ყველა გადაიხდის, მაგრამ საბოლოო ჯამში, რასაც ვაკვირდებით, სამწუხაროდ, ეს ემსახურება წინასაარჩევნო პერიოდში გარკვეული დისონანსის შემოტანას საზოგადოებრივ ცხოვრებაში და აქვე ისიც მინდა განვაცხადო, რომ ნურვის ექნება ამის ილუზია, საქართველოში არჩევნები ჩატარდება თავისუფალ, სამართლიან და მშვიდ გარემოში,“ — აცხადებს პრემიერი.

„რაც შეეხება საქართველოში ბიზნესისა და მისი ინტერესების დაცვას, ეს ყველასთვის ნათელია და ამას მოწმობს ჩვენი პოზიცია საერთაშორისი რეიტინგებში. ის, რაც გავრცელდა სხვადასხვა ჩანაწერების სახით, დარწმუნებული ვარ, საზოგადოება კარგად გაერკვევა, საგამოძიებო ორგანოები შესაბამის შეფასებას მისცემენ, მაგრამ სრული პასუხისმგებლობით მინდა აღვნიშნო, რომ გადასახადს საქართველოს ბიუჯეტში ყველა გადაიხდის“, — განაცხადა ბახტაძემ.

ასე ამბობდა სალვადორ დალი

ქართულად გადმოაქცია **გურამ გოგიაშვილმა**

სალვადორ დალი დიდ მხატვართა შესახებ

რაფაელი – აი, მომავლის უტყუარი მხატვარი, ნამდვილი ფუტურისტი, უკეთუ ეს სიტყვა იმას აღნიშნავს, რომ დროთა განმავლობაში ასეთი ხელოვნების ზემოქმედების ძალა თანდათან იმატებს.

* * *

აი, უტყუარი ძალა – რაფაელის ან ვერმეერის ტილოთა მნიშვნელოვნობა უცვლელი რჩება ტოტალიტარიზმის ქაოსში.

* * *

ტემპერა, ფრესკები, საღებავები, კვერცხზე დამყარებული – შეხედეთ, რარიგ ყომრალდება. ნაცრისფერდება! ნახეთ, რა ნაძალადევი კვალი დატოვა ფრა ანჯელიკოს ანდა ჯოლოს ფუნჯმა! თუმცა, ორივეს სურათები კათოლიკური რწმენის შუქით იყო გაჩახჩახებული, მაგრამ სუყოველ იმ სურათს გამქრქალება ეწერა.

* * *

ჩემთვის სავსებით ბუნებრივია იმის წარმოდგენა, თუ მხატვართათვის ჯეროვნის მომზღველი სასწორის ერთ პინაზე როგორ იდება ჯადოსნურ საღებავთა ერთი წვეთი, რომელ საღებავებითაც წერდა თავის ტილოებს ვერმეერ დელფტელი, ხოლო მეორე პინაზე – ვან გოგის მარცხენა ყური და დალის მარცხენა ხელია, აგრეთვე ჩვენი წარმოუსადეგი თანამედროვე მხატვრების მრავალნაირ ორგანოთა მნიშვნელოვანი რაოდენობა, თვით ყოვლის უფრო ინტიმურიც კი. და, როგორც გვარიანად ვეჭვობ, თუ ეს მთელი მიჭრილ-მოჭრილი სხეული საკმარისი არ აღმოჩნდა ღვთაებრივ საღებავთა ერთადერთი წვეთის გასათანასწორებლად, მაშინ ამ პინას წონის მოსამატებლად უყოყმანოდ დაუმატეთ კიდევ ორი ხელი – ისინი ცოტას არ იწონიან! – პოლ სეზანის ხელთ ვგულისხმობ, რამეთუ ეს საწყალი სეზანი მიუხედავად იმისა, რომ განსაცვიფრებელი და ყოველმხრივ პატივისცემის ღირსი შეუპოვრობით ეპირებოდა „ბუნების პუსენობას“, სხვა სიტყვებით თუ ვიტყვით – ბუნების დიდ ხუროთმოძღვრობას, მხოლოდ და მხოლოდ ნეოპლატონიკური ყაიდის სამშენებლო სამუშაოთა მენარდე, ნარდად მომუშავე გახდა.

* * *

...ეს რა ძალა აქვს ამ ველასკესს! სამასი წლის შემდეგ ისტორიაში ერთადერთ დიდ მხატვრად მეჩვენება.

* * *

კანდინსკი? ერთხელ და სამუდამოდ გეუბნებით: არ არის და არც შეიძლება, რომ იქ იყოს ვინმე რუსი მხატვარი. კანდინსკის შეეძლო მინანქრით მოეხელკეთილებინა საუცხოო ხელჯოხთა ბუნიკები, დაახლოებით ისეთები, როგორ ბუნიკიან ხელჯოხსაც მე ვატარებ იმის მერმე, რაც შობას გალამ მაჩუქა.

* * *

მე ჯერეთ არ გავმსჭვალულვარ ენთუზიაზმით მატისის და აბსტრაქციონისტური ტენდენციების მიმართ, კვლავინდებურად მესონიეს ულტრარეტროგრადულ და დამანგრეველ ტექნიკას ვანიჭებ უპირატესობას.

* * *

უკეთუ გავიხსენებთ, რას წერდა ფროიდი ლეონარდო და ვინჩის შესახებ და აგრეთვე იმ ყოველსავე, რასაც ამბობენ მხატვრის ქვეცნობიერებაზე იმისივე სურათები, შეიძლება, რომ სულ ადვილად დავასკვნათ: როს ლეონარდო ჯოკონდაზე მუშაობდა, თავის დედას ეტრფოდა. სავსებით არაცნობიერად წერდა ის მავან არსებას, რომელიც დაჯილდოებული იყო დედაშვილობის სუყოველი ამაღლებული ნიშან-თვისებით.



მხატვართა მნიშვნელოვნობის კრებსითი ცხრილი, იმ ანალიზის საფუძველზე დამუშავებული, რომელ ანალიზსაც დალი 10 წლის განმავლობაში ეწეოდა.

	ტექნიკა	შთაგონება	ფერი	ნახატი	ნიჭი	კომპოზიცია	ორიგინალურობა	საიდუმლოება	ნამდვილობა
ლეონარდო და ვინჩი	17	18	15	19	20	18	19	20	20
მესონიე	5	0	1	3	0	1	2	17	18
ენგრი	15	12	11	15	0	6	6	10	20
ველასკესი	20	19	20	19	20	20	20	15	20
ბუგერო	11	1	1	1	0	0	0	0	15
დალი	12	17	10	17	19	18	17	19	19
პიკასო	9	19	9	18	20	16	7	2	7
რაფაელი	19	19	18	20	20	20	20	20	20
მანე	3	1	6	4	0	4	5	0	14
ვერმეერ დელფტელი	20	20	20	20	20	20	20	19	20
მონდრიანი	0	0	0	0	0	1	0,5	0	3,5

დასასრული. დასაწყისი იხ. №196-207



თბილისის მოდის კვირეულის გახსნა ბელა მირიანაშვილს მიეძღვნება

თბილისის მოდის კვირეულის მე-18 სეზონი 18 ოქტომბერს ფუნიკულიორზე გაიმართება. თბილისის მოდის კვირეული ტრადიციისამებრ ქართული კულტურისა და ხელოვნების ლეგენდებს გააცოცხლებს, პროექტი – „Style Icon“ ქართული სტილის კერპს ბელა მირიანაშვილს მიეძღვნება. კვირეულის 4-დღიანი პროგრამა 20-მდე ღონისძიებას მოიცავს.

თბილისის მოდის კვირეულის გახსნასთან დაკავშირებით სპეციალური პრესკონფერენცია გაიმართა, რომელსაც დაესწრნენ თბილისის მოდის კვირეულის ორგანიზატორი თაკო ჩხეიძე, რეჟისორი ბასა ფოცხიშვილი, მსახიობი ნანუკა ხუსკივაძე, „საქართველოს ფოსტის“ გენერალური დირექტორი ლევან ჩიკვაიძე და „SOLO Lifestyle“-ის დირექტორი ნინი ჩიქოვანი. როგორც თბილისის მოდის კვირეულის დამფუძნებელმა თაკო ჩხეიძემ პრესკონფერენციაზე განაცხადა, მოდის კვირეულის ეს სეზონი გამორჩეული იქნება, ვინაიდან ის განსხვავებული კონცეფციით წარდგება მაყურებლის წინაშე. მოდის კვირეულის ფარგლებში მოეწყობა გლამურული ეკობაზარი, სადაც წარმოდგენილი იქნება ქართული ეკოპროდუქცია ქვეყანაში ეკოლოგიური მდგომარეობის გაუმჯობესებაში საკუთარი წვლილის შეტანისა და ბუნების დაცვის თემის პოპულარიზაციისათვის.

მსახიობმა ნანუკა ხუსკივაძემ ორგანიზატორებს დიდი მადლობა გადაუხადა, რომ „სტილის კერპის“ მთავარი გმირი ბელა მირიანაშვილი იქნება და მის შემოქმედებასა და ხსოვნას ასეთ პატივს მიაგებენ.

საქართველოს ფოსტის გენერალურმა დირექტორმა ლევან ჩიკვაიძემ მედიას განუცხადა – „საქართველოს ფოსტა მოდის კვირეულის ახალი პარტნიორია და ჩვენთვის პატივია, რომ ქვეყანაში არსებული ეროვნული ოპერატორი დღეს სწორედ აქ დგას. მოგეხსენებათ , ფილმი „დღე უკანასკნელი, დღე პირველი“ კინემატოგრაფიაში ის ნამუშევარია, რომლითაც ქართველმა საზოგადოებამ გაიცნო საფოსტო საქმიანობა. ფოსტალიონის პროფესია კი ყველასთვის პატივსაცემმა მსახიობებმა – ქალბატონმა ბელა მირიანაშვილმა და სერგო ზაქარიაძემ მიიტანეს მაყურებლამდე და გააცნეს საზოგადოებას ის დიდსულოვნება და კეთილშობილება, რომელიც თან ახლავს ამ პროფესიით დაკავებული ადამიანების ყოველდღიურ საქმიანობას“, – აღნიშნა ლევან ჩიკვაიძემ.

კვირეული მოიცავს ქართველი და უცხოელი დიზაინერების ჩვენებებს: ლაშა ჯოხაძის, „მიროს“, „ეტერეს“, „მატურელის“, „მაკმარის“ – კვირეული განაგრძობს ახალი ტალანტების აღმოჩენას და მათ პოპულარიზაციას. ახალბედა დიზაინერები მაყურებლის წინაშე განსაკუთრებული კოლექციებითა და პერფორმანსებით წარდგებიან. კვირეულის მხარდამჭერები არიან: თბილისის მერია, საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტრო, საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო, სააგენტო „აწარმოე საქართველოში“ და ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაცია.

რუსეთი საქართველოსთვის... ლოცვა და წყევლა ერთდროულად

„რუსეთის ურთიერთობა საქართველოსთან, რომელიც ჩრდილოელ სახელმწიფოს სამხრეთიდან ესაზღვრება, არასდროს არ ყოფილა მარტივი. მართალია, ქართული რომანტიზმი და რუსული იმპერიალიზმი ერთმანეთს ავსებდნენ, მაგრამ იმავდროულად ერთმანეთს კიდეც ეწინააღმდეგებოდნენ. რუსეთის ყველაზე ცნობილ პიროვნებას ქართველი იოსებ სტალინი წარმოადგენდა“ – ასე იწყება შვეიცარიული გამოცემის, „Neue Zurcher Zeitung“-ის მიერ ულრიხ შმიდის ავტორობით გამოქვეყნებული სტატია, რომელიც ქართულ-რუსული ურთიერთობის ისტორიას და დღევანდელობას შეეხება.

თუ რამდენად რთულია საქართველო-რუსეთის ურთიერთობა, მათ შორის ისტორიული რეტროსპექტივით, ეს თბილისის ცენტრში არსებული მარმარილოს დაფიდანაც შეიძლება გავიგოთ: „ეძღვნება იმ მშვიდობიანი დემონსტრაციის მონაწილეთა ხსოვნას, რომლებიც 1956 წლის 9 მარტს საბჭოთა რეჟიმმა იმსხვერპლა“.

მაინც რა მოხდა იმ დროს? 1956 წლის თებერვალში იოსებ სტალინის მემიკვიდრე ნიკიტა ხრუშჩოვი პარტიის დახურულ ყრილობაზე საიდუმლო გრიფის მქონე მოხსენებით გამოვიდა, რომელშიც მან მკაცრად გააკრიტიკა დიქტატორის პიროვნების კულტი. ბევრ საბჭოთა ადამიანში პარტიის კურსის ასეთმა მოულოდნელმა და სწრაფმა ცვლილებამ შოკი გამოიწვია – მათ ხომ მეოთხედი საუკუნის განმავლობაში შთააგონებდნენ, რომ თითოეული მოქალაქის ცხოვრება მთლიანად იოსებ სტალინზე იყო დამოკიდებული. მომხდარი ფაქტი განსაკუთრებით მტკივნეულად აღიქვეს ქართველებმა, რომლებიც ძალიან ამაყობდნენ მშობლიური მიწის მთელ მსოფლიოში ცნობილი შვილით. ახალგაზრდა დემონსტრანტებმა თბილისის ცენტრში სტალინის პორტრეტებით გაიარეს და საქართველოს დამოუკიდებლობა მოითხოვეს. საქმეში საბჭოთა არმიის ნაწილები ჩაერთვნენ და აქცია სისხლში ჩაახშეს. მარმარილოს დაფაზე ტექსტის წაკითხვისას შეიძლება ვინმემ იფიქროს, რომ 1956 წლის დემონსტრაციის დროს დემოკრატიულ უფლებებს ან ფედერალურ ავტონომიას ითხოვდნენ, მაგრამ ნუ შეცდებით: სინამდვილეში აქციის მონაწილენი დესტალინიზაციის წინააღმდეგ გამოდიოდნენ, ამიტომაც მომხდარი ამბავი არ უნდა განვიხილოთ სამოქალაქო საზოგადოების ჩამოყალიბების წარმატებული გამოვლენის ფაქტად.

მსგავსი ორმაგი მორალი შეიძლება შევამჩნიოთ 1989 წლის 9 აპრილის მოვლენის შეფასებაშიც, როცა ათასობით ადამიანი თბილისში, რუსთაველის გამზირზე შეიკრიბა, რათა პროტესტი განეცხადებინათ აფხაზეთის მცდელობის წინააღმდეგ, საქართველოდან მისი გამოყოფის მიზნით. ამ შემთხვევაშიც საბჭოთა არმიამ აქცია მკაცრად დაარბია და გარეკა.

რამდენიმე თვის შემდეგ, 1989 წლის ივლისში, ნობელის პრემიის ლაურეატმა ანდრეი სახაროვმა მოსკოვის ერთ-ერთ ჟურნალისთვის მიცემულ ინტერვიუში ზოგიერთ საბჭოთა რესპუბლიკაში არსებული მმართველობის სტილი გააკრიტიკა, რომელსაც ქვეყანა „მცირე იმპერიალიზმამდე“ მიჰყავს. ანდრეი სახაროვმა ასეთი რესპუბლიკის ნიმუშად საქართველო დაასახელა, „რომელიც აფხაზეთს და ოსეთს იმპერიალისტურად მართავდა“. ქართველთა თვალსაზრისით, ასეთი საყვედური აბსურდული იყო, რადგან ის თვითონ იყო რუსულ-საბჭოური ოკუპაციის პირველი მსხვერპლი. ამჟამად საქართველოში 9 აპრილი ეროვნული ერთიანობის დღედ აღინიშნება. **მწარე ისტორიული ირონია იმაში გამოიხატება, რომ 2008 წელს აფხაზეთ-სამხრეთ ოსეთის ფაქტიური გამოყოფის შემდეგ „ეროვნულ ერთიანობაზე“ ლაპარაკი ზედმეტია.**

1956 და 1989 წლების სისხლიან კონფრონტაციაში აშკარად შეიმჩნევა რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის ორმაგი ხასიათი: ერთი მხრივ, იოსებ სტალინის, საბჭოთა იმპერიის ლიდერის სამშობლო რუსეთს ეროვნულ ჩაგვრაში ადანაშაულებდა, მეორე მხრივ კი საქართველო ყოველთვის იყო მრავალეროვნული წარმონაქმნი, რომელმაც, რაოდენ უცნაურიც არ უნდა იყოს, „ეროვნული ერთიანობა“ სწორედ რუსეთის, ანუ უცხო სახელმწიფოს დახმარებით მოიპოვა.

საქართველოს სამეფოს შეერთებამ რუსეთის იმპერიასთან 1801 წელს ქართველი თავად-აზნაურობის მწარე იმედგაცრუება გამოიწვია – მათი მიზანი ხომ სახელმწიფოებრივი ავტონომიის შენარჩუნება იყო, საქართველოს კი რუსი ჩინოვნიკები ჩვეულებრივი პროვინციული გუბერნიის მსგავსად მართავდნენ. ამის მიუხედავად, მე-19 საუკუნეში ერთიანი ქართული სახელმწიფოებრივი სივრცე მაინც ჩამოყალიბდა. იმავე ასწლეულში საქართველოში რამდენიმე ანტირუსული აჯანყებაც მოხდა, რომლებიც სისხლში იქნა ჩახშობილი. 1832 წელს გამჟღავნდა თავად-აზნაურთა შეთქმულებაც, რომლის მონაწილენი მკაცრად დაისაჯნენ. 1845 წლამდე საქართველოში სამხედრო-სარეჟიმო მართვა-გამგებლობა ხორციელდებოდა, რომელიც რუსმა ოკუპანტებმა შემოიღეს. მოგვიანებით, რუსეთის იმპერია საქართველოს (თბილის-ქუთაისის გუბერნიებს) ისე უყურებდა, როგორც კოლონიას და მის ეკონომიკურ ექსპლოატაციას ეწეოდა. გარდა ამისა, საქართველო (რუსეთის მთავრობის მოწინააღმდეგეების) გადასახლების ადგილიც იყო, ერთგვარი „სამხრეთ ციმბირი“. ამასთან, იმპერია ლოიალურად განწყობილ ქართველებს განათლების მიღებისა და კარიერული წინსვლის უფლებას აძლევდა: ვთქვათ, გენერალ პეტრე ბაგრატიონს და სხვებს. **საერთოდ, ქართველებში არ იბრძნობოდა რუსეთის მიმართ ღრმა სიძულვილი – ისეთი, როგორიც, მაგალითად, პოლონელებში იყო.**

მიხეილ ლერმონტოვმა საქართველოს რომანტიზება მოახდინა და თვლიდა, რომ იქ ჯერ კიდევ იყო შენარჩუნებული ჟანჟაკ რუსოს სულისკვეთებიანი ერთგვარი სამოთხე. იგი უმღეროდა მკაცრი მთების ქვეყანას, როგორც თავისუფლების ნავსაყუდელს. თუ სიტუაციას ყურადღებით შევხედავთ, მსგავსი მისტიფიცირება, რა თქმა უნდა, სინამდვილეს არ ასახავდა.

ქართული კულტურა უფრო მეტად გაითავისა პოეტმა ალექსანდრე გრიბოედოვმა, რომელმაც ცოლად კახელი თავადის ალექსანდრე ჭავჭავაძის ასული ნინო ჭავჭავაძე მოიყვანა. გრიბოედოვის ნაწარმოები „ვაი ჭკუისაგან“ იმპერიაში აკრძალული იყო. მისი სიყვარული ქართული კულტურისადმი იმდენად ძლიერი იყო, რომ ლექსებს ქართული ლექსთწყობით წერდა.

რა თქმა უნდა, „კულტურული გაცვლა“ უკუმიმართულებითაც ხდებოდა: ქართველთა მთელმა თაობამ ლიტერატურული განათლება პეტერბურგის უნივერსიტეტში მიიღო. რუსეთის იმპერიის ხელისუფლება ქართველებს თბილისში უნივერსიტეტის გახსნის ნებას არ აძლევდა – მაგის დრო ჯერ არ დამდგარაო. თუმცა სწორედ უნივერსიტეტის არარსებობამ განაპირობა ქართველ ინტელექტუალთა კონტაქტები იმპერიის დედაქალაქში რუსეთის პროგრესულ მოაზროვნეებთან. რუსეთში განათლებამიღებულმა ქართველებმა თავიანთთვის სპეციალური სახელიც კი მოიგონეს – „თერგდალეულები“, ანუ „ვინც თერგს გაღმა იყო ნამყოფი, რომლებმაც საქართველოს ჩრდილოეთით მდებარე სასაზღვრო მდინარე გადაკვეთეს“. მათგან ყველაძე ცნობილი ადამიანები არიან ილია ჭავჭავაძე, საქართველოს ეროვნული პოეტი და მოაზროვნე. მან პეტერბურგში სწავლისას ქართულ ენაზე გადათარგმნა ალექსანდრე პუშკინისა და მიხეილ ლერმონტოვის ლექსები. ილია ჭავჭავაძე ყურადღებით ეცნობოდა რუსულ სოციალურ-კრიტიკულ პროზასაც. ამასთან, ილია ჭავჭავაძეს, რომელსაც, სხვათა შორის, დედის მხრივ სომხური სისხლიც ერია, ზოგჯერ თავშეკავება ღალატობდა: აქტიურად აკრიტიკებდა ქართულ ქალაქებში სომხების მოზღვავებას და მწარედ წერდა, რომ „ღირსეული ბრძოლით“ მათი თავიდან მოშორება ვერ ხერხდებოდა. ამგვარი ანტისომხური განწყობა ხელს უწყობდა ილია ჭავჭავაძის პოპულარობას.

ბატონ ულრიხ შმიდის ეს შეხედულება აბსოლუტურად მცდარია, მაგრამ ტექსტის სიზუსტის შენარჩუნების გამო არაფერს ვცვლით. – რედ.

1907 წელს იგი გაურკვეველ ვითარებაში მოკლეს – შესაძლოა, მასზე ქართველმა კომუნისტებმა შური იძიეს (ილია მათ მუდმივად აკრიტიკებდა), ან ეს იყო რუსეთის პოლიციის მიერ მოწყობილი, ქართული ნაციონალიზმის გასანეიტრალებლად.

ილია ჭავჭავაძე საბჭოთა საქართველოში მოგვიანებით იქნა აღიარებული. პოეტს თავდაპირველად კომისრები დამამცირებლად „თავადს“ და „ნაციონალისტს“ უწოდებდნენ, მაგრამ მას შემდეგ, რაც 1937 წელს ილია ჭავჭავაძის დაბადების ასი წლის იუბილე აღნიშნეს, იოსებ სტალინის ნებით, ქართველი პოეტისა და პროზაიკოსის სოციალ-კრიტიკული ნაწარმოებები რევოლუციური სოციალიზმის კუთხით იქნა განხილული. სხვათა შორის, საბჭოთა ბელადი იოსებ სტალინი პირადად იცნობდა ილია ჭავჭავაძეს - სწორედ მან შეუწყო ხელი მომავალი დიქტატორის პოეტურ დებიუტს... ილიას გაზეთ „ივერიაში“ სოსელოს ფსევდონიმით დაბეჭდილ ლექსებში ავტორის სამხრეთული კოლორიტი იყო წარმოსახული. მისი ლექსების გამოქვეყნებით ილია ჭავჭავაძემ თავისი ღია დამოკიდებულება მოახდინა ყველა ქართული პოლიტიკური მიმდინარეობისადმი. საბოლოო ჯამში, ილია ჭავჭავაძე 1987 წელს ქართულმა ეკლესიამ წმინდანად შერაცხა „ილია მართალის“ სახელით.

იოსებ სტალინი ქართული რომანტიზმისა და რუსული იმპერიული კულტურის ნაყოფი იყო. იგი თავის ადრინდელ ლირიკაში ცდილობდა, ეროვნული მოძრაობა გაელვიძებინა. მოგვიანებით, ფესვდონიმი „კობა“ სტალინმა ქართული სათავგადასავალო რომანის გმირის სახელისაგან აიღო. სემინარიაში მისი სწავლის წლები რუსეთ-საქართველოს ტრადიციული ეროვნული კონფლიქტის ფონზე ხდებოდა. პედაგოგები, როგორც წესი, რუსი შოვინისტები იყვნენ და კოლონიური პოლიტიკის გამტარებლად გამოდიოდნენ. 1886 წელს სოციალური აფეთქება მოხდა: სემინარიიდან გარიცხულმა სტუდენტმა რექტორი მოკლა, რადგან მან ქართულ ენას „ძაღლების ენა“ უწოდა. სემინარიის რექტორის დაკრძალვისას რუსმა ეგზარქოსმა პავლემ ქართველი ერი დაწყევლა და ანათემას გადასცა. თავის მხრივ, თბილისის ქალაქის თავმა და თავადაზნაურობის ხელმძღვანელმა დიმიტრი ყიფიანმა ეგზარქოს პავლეს საქართველოს დატოვება მოსთხოვა. ეს ნაბიჯი ყიფიანს ძვირად დაუჯდა: იმპერატორმა ალექსანდრე მესამემ ქართველი თავადი პეტერბურგში გამოიძახა, გზაში კი ვერაგულად მოკლეს საიდუმლო პოლიციის დავალებით. დიმიტრი ყიფიანის დაკრძალვა თბილისში უდიდეს მანიფესტაციად გადაიქცა. 2007 წელს დიმიტრი ყიფიანიც წმინდანად შერაცხეს.

იოსებ სტალინს კარგად ესმოდა მოვლენების პოლიტიკური მნიშვნელობა. იგი რელიგიაში საზოგადოების გაერთიანების მეთოდს ხედავდა ეროვნული მობილიზებისთვის და მიაჩნდა, რომ აუცილებელი იყო ტერორისტული ზემოქმედება ხელისუფლებაზე. მან ეს ჩანაფიქრი აქტიურად გამოიყენა 1917 წლამდე ცარიზმის წინააღმდეგ ბრძოლაში.

1921 წელს წითელი არმია მენშევიკურ საქართველოს რესპუბლიკაში შეიჭრა და იქ ბოლშევიკური მარიონეტული რეჟიმი დაამყარა, რაც 1920 წლის მაისში რუსეთ-საქართველოს შორის დადებული ხელშეკრულების უხეშ დარღვევას წარმოადგენდა. იოსებ სტალინი, რომელიც იმ ხანებში ეროვნებათა საქმეების კომისარი იყო, მიიჩნევდა, რომ „კულტურა თავისი ფორმით ეროვნული უნდა იყოს და შინაარსით – სოციალისტური“. თუმცა მალე გაირკვა, რომ იგი უპირატესობას რუსულ კულტურას აძლევდა. ამას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოსთვის: 1922 წელს იოსებ სტალინმა, ვლადიმერ ლენინის შედარებით ლიალური გეგმის საწინააღმდეგოდ, თანამემამულეებს დააძალა მათთვის არასასურველ ამიერკავკასიის ფედერაციაში გაერთიანებულიყვნენ, შემდეგ კი გაზეთმა „პრავდამ“ სტალინს „ხალხთა მამა“ უწოდა.

1936 წლის საბჭოური კონსტიტუციით, დიდსულოვანმა ბელადმა საქართველოს მოკავშირე რესპუბლიკის სტატუსი უბოძა. მეორე მსოფლიო ომის წლებში იოსებ სტალინმა თავის სამშობლოს კიდევ რამდენიმე პრივილეგია მისცა - საქართველოს მართლმადიდებელ ეკლესიას 1811 წელს დაკარგული ავტოკეფალია აღუდგინა (მართალია, ქართულმა ეკლესიამ ავტოკეფალია ჯერ კიდევ 1917 წელს გამოაცხადა, მაგრამ რუსეთის ეკლესიამ მისი სტატუსი არ აღიარა. 1943 წელს კი ბელადმა ეს საკითხი გამოასწორა). რესპუბლიკის სტატუსის განმტკიცებით სტალინს სურდა, ქართველებში გერმანოფილური ტენდენციები აღმოეფხვრა, რომელიც 1918-1919 წლებში ქართული დამოუკიდებელი სახელმწიფოს მიმართ გერმანიის იმპერიის მხარდაჭერით იყო განპირობებული.

რუსეთი დღემდე რჩება ქართული პოლიტიკის და კულტურის ასათვლელ წერტილად, განსაკუთრებით „2008 წლის კონფლიქტის“ შემდეგ – ასე რბილად უწოდებენ მოსკოველი დიპლომატები აგვისტოს ხუთდღიან ომს, რომელმაც ორ მეზობელს შორის მრავალწლიანი კავშირები გაწყვიტა.

მიუხედავად ამისა, რუსეთ-საქართველოს შორის განხეთქილების ამსახველი კრიზისი ერთგვარი გამაერთიანებლის ტენდენციასაც გვიჩვენებს: ცნობილი მწერალი ბორის აკუნინი, რომლის ნამდვილი სახელი და გვარი გრიგოლ ჩხარტიშვილია (იგი ზესტაფონში დაიბადა და მოსკოვში გაიზარდა), დღეს კრემლის ერთ-ერთი შეურიგებელი კრიტიკოსია. 2016 წელს მას თბილისის ილია ჭავჭავაძის სახელობის უნივერსიტეტში საპატიო დოქტორის წოდება მიანიჭეს. თავის სამადლობელ გამოსვლაში მან ხაზი გაუსვა – თვითმფრინავით თბილისში რომ მოვდიოდი, ქართული ანბანის შესწავლა მოვასწარიო...

„NEUE ZURCHER ZEITUNG“ (შვეიცარია)

„ვირთა გვარამი“ – ეს რა ჯადო გვჭირს მართლა და მართლა?!

გვარამიას უტიფარ განცხადებებს არ მოჰყოლია იმდენი „ხმაური და მრისხანება“, რაც პარლამენტის თავმჯდომარის მიერ ამ უდავოდ ბოროტი განცხადების სამართლიან შეფასებას მოჰყვა!

თითქოს მთავარი ის კი არ არის, რომ გვარამია საშიში ხდება თავისი უტიფრობით, არამედ ის, რა ტერმინით უნდა მოვიხსენიოთ მისი საქციელი, რაც სულ უფრო და უფრო წრეგადასული და გამომწვევი ხდება!

არადა, ჩვენებური ნაც-ექსპერტების, რომელთა რიგებს, რაც არ უნდა საოცარი იყოს, აგერ „ხუხაცა“ და „ლაგაზაც“ შეუერთდნენ, „დასკვნა“ გამაოგნებელია: თურმე სალომეს „მოღალატე“ და „ქსენოფობი“ შეუძლიათ როგორც უნდათ, როცა და სადაც უნდათ, ყველა ბრუნვაში ეძახონ, მის მხარდამჭერებს ღიად დაემუქრონ, მაგრამ ვინც ამას სჩადის, ე.ი. ნაცებს, გამორჩეულად კი ტელე-ინკვიზიტორ გვარამიას, ყველანი „პოლიტკორექტულად“, მეტიც – ოდენ დიდი მოწიწებითა და ღრმა პატივისცემით უნდა მივმართავდეთ!

პარლამენტის თავმჯდომარეს არაპოლიტკორექტულობაში ბრალი დასდეს და უარესიც, უკიჟინებენ – „საერთოდაც არა სცოდნია, რა არის ფაშიზმიო!“ მოდი და ნუ გაგეცინება!

ეტყობა, ისე არიან ამ „სალომეფობიით“ შეპყრობილნი, სმენაც დაუქვეითდათ და თვალისჩინიც დააკლდათ. დანახვითაც ცუდად ხედავენ და ხეირიანად ვერც ეს გაიგეს: ბ-ნმა ირაკლიმ მათ „უნიათო ფაშისტები“ უწოდა, ე.ი. ტერმინი „ფაშისტი“ მეტაფორული შედარებისთვის გამოიყენა და თანაც რამდენჯერმე ძალიან მკაფიოდ ახსნა, რასაც გულისხმობდა!

ნუთუ ვინმეს მართლა ეპარება ეჭვი, რომ პარლამენტის თავმჯდომარემ, რომელსაც სამართლის დოქტორის გერმანული დიპლომი აქვს, ისტორიაში იმდენი მაინც არ იცის, რომ „ფაშიზმზე“ წარმოდგენა არა აქვს?! ნუთუ ისიც კი არ იცის, რომ გვარამია არც მუსოლინისა და არც ჰიტლერს პროპაგანდის მინისტრად არ დაუნიშნავთ, მეორე მსოფლიო ომში არც დასავლეთისა და არც აღმოსავლეთის ფრონტზე გენერლად არ გაუმწესებიათ?

პარლამენტის თავმჯდომარემ კი არა, საქართველოში, აბა ვინ, თუნდაც წერაკითხვის უცოდინარმაც (თუ არის ვინმე ასეთი), განა არ იცის, რომ გვარამია ერთი რიგითი „შნირი“ იყო ჩოყლაყად წოდებული ცეტისა? დიახაც, სწორედაც „შნირი“ და უარესიც: ჩოყლაყის ყურმოჭრილი მონა გახლდათ, მიუხედავად იმისა, რომ პატრონის ხოშზედ ხან პროკურორად მუშაობდა და ხანაც განათლების მინისტრად, საიდანაც ბოლოს კვალიფიკაციის ასამაღლებელ რაღაც კურსებზე გაუშვეს; მერე კი, როცა „კვალიფიკაცია აიმაღლა“, ხოლო ნაცებმა კი პირიქით – კვალიფიკაცია დაკარგეს, ე.ი. არჩევნები ისე ვეღარ გაიყალბეს, რომ არ წააეგოთ, გვარამია მთავარ პროპაგანდისტად დანიშნეს, ბოროტების მრისხანე პანდორას ყუთი – „რუსთავი-2“ ჩააბარეს, მაგრამ ახლა, გებელსობას ვიღა ჩივის, თავი საერთოდაც „დიდ ინკვიზიტორად“ წარმოუდგენია და ისეა შეჭრილი ამ ყოვლად სამარცხვინო როლში, ისე გათავხედდა და გათახსირდა გიორგი გაბუნიასა და ეკა კვესიტაძესთან ერთად, სრულიად ურცხვად და უტიფრად „სინდისის სასამართლოს“ გვიწყობს, „სირცხვილის კოცონზე“ გვხრუკავს და გვწვავს თითქმის ყოველდღე, განსაკუთრებით კი – შაბათს და კვირას... ქმნის „დამაჯერებელ“ სურათს, რომ საერთოდ არ არსებობს ვინმე ძეხორციელი, არცა ქოცთაგანი და არცა არაქოცთაგანი, არც ერისა და არც ბერისა, არცა მამაკაცი და არცა დედაკაცი, არცა ჭაბუკი და არცა მხცოვანი, „ცრუსთავი-2“-ის ინკვიზიციის მრისხანებასა და სასტიკ სასჯელს დაემალოს ან დაუსხლტეს! მართალია, ჯერ ეს ინკვიზიციური სასამართლო ოდენ ტელე-სასამართლოა და ვირტუალურია, მაგრამ როგორც ვარლამ არავიძე იტყოდა: „გვაცალეთ ბატონო, გვაცალეთ!“



მიუხედავად ამ ბოროტი ჟინისა და დაუდგრომელი, ჭეშმარიტად ინკვიზიციური ენთუზიაზმისა, გვარამია ფაშისტი ნამდვილად არ არის. ოდენ, როგორც უწოდეს - „უნიათო ფაშისტია“.

რატომ?

იმიტომ, რომ ფაშისტია გებელსი, ხოლო გვარამიას გებელსობა კი მეტი რომ არ შეიძლება, ისე სწადია, მაგრამ რა ქნას, არც შეძლება აქვს, ე.ი. არც თოფი აქვს, არც ავტომატი, არც ზარბაზნები და ტანკები არა ჰყავს, არც ვერმახტი არ ემორჩილება, არც გესტაპო და არც აბვერი. რაც მთავარია, არც მასშტაბი ყოფნის! ეს დალოცვილი საქართველო „გებელსური რეიხის“ მასშტაბით ერთობ პატარა ქვეყანაა, თუმცა შეგახსენებთ, მისი „ფიურერი“ – ჩოყლაყი კი ნამდვილად ტრაბახობდა, „ცოტაცა და კინაღამ მესამე მსოფლიო ომი გავაჩაღეო!“

* * *

დარწმუნებული ვარ, ბ-ნი ირაკლი კობახიძე, როგორც უაღრესად სამართლიანი ადამიანი (მას დიდი ხანია, კარგად ვიცნობ და ბევრი კეთილშობილური თვისებიდან, რაც მას ახასიათებს, სწორედ მის გამორჩეულ სამართლიანობას ვცემ ყველაზე დიდ პატივს!), ამასაც, ე.ი. პოლიკორეტულობის თვალსაზრისით ანგარიშგასაწევ შენიშვნასაც, გაითვალისწინებს და რაიმე სხვა ტერმინს გამოიყენებს. არჩევანი ფართოა, მაგალითად:

უცხოურად – „ფსევდო-ფაშიზმი“, „ფალშ-ფაშიზმი“, „კვაზი-ფაშიზმი“ და სხვ.

უცხოური თუ არ მოსწონს ვინმეს, ჩვენებურად, ქართულად - „ვაი-ფაშიზმი“, „უი-ფაშიზმი“, „ცრუ-ფაშიზმი“, და სხვ. შეიძლება ვუწოდოთ. კნინობითი ფორმაც შეიძლება, თანაც, რადგან ბ-ნი ირაკლი რაჭველია, შესაბამისიც იქნება, მაგ: „ფაშისტუნა“; თუ ეს „ფაშიზმი“ საერთოდ უნდა გაქრეს დასახელებიდან და გვარამიასაც ღირსი პატივი უნდა მივაგოთ, კი ბატონო: „გვარამიზმი“, ან უმჯობესია – „ვარამიზმი“ დავარქვათ. ესეც კარგია: „გვ“ -ზე და გვარამიაზე, რატომღაც სულ „გმირთა ვარამი“ მახსენდება, მაგრამ სად ეს და სად „გმირთა ვარამი“? ამიტომ „გ“ და „ვ“ ამბივალენტურ გაცვლა-გამოცვლაში მოვაქციოთ და სახელად „ვირთა გვარამიც“ გამოდგებოდა! თქვენ რას იტყვით? ვითომ ეს უფრო პოლიტკორექტულია, ვიდრე „უნიათო ფაშიზმი“?!

ისე, რუსულად უკეთ გამოდის, რადგან ნაცურ, ანუ არაკაცურ ხასიათს ყველაზე მეტად სწორედ რუსული ესადაგება: „ვირთა გვარამზე“ მართლაც ზედგამოჭრილი იქნებოდა, პირდაპირ დახატავდა - „პეტუხიზმი“; უფრო „მარილიანი“ ტერმინიც შეიძლება, თუმცა ეტიკეტს დავიცავ და აქ აღარ მოვიყვან...

ისე, შეიძლება რაიმე უფრო სპეციფიკურიც დავარქვათ – „ფალშზ-ფაშიზმს“ რაც ერითმება და „პეტუხიზმსაც“ ეხმიანება , თანაც ქართულადაც ჟღერს. მაგალითად „ფარშევანგისტობა“...

* * *

რასაკვირველია, თუ არც ერთი აქ გამოგონილი ტერმინი არ მოსწონს, ბ-ნ ირაკლის, უკეთესადაც და დემოკრატიისათვის სანიმუშოდაც კი შეუძლია მოქცევა.

გამოვაცხადოთ საგრანტო კონკურსი არასამთავრობო ორგანიზაციებისთვის გვარამიას ინკვიზიციისთვის პოლიტკორექტული ტერმინის დასარქმევად! ცხადია, საკონკურსო კომისიაში ბოკერია ცოლითურთ აუცილებლად უნდა შევიყვანოთ, რადგან უკოჰაბიტაციო დემოკრატია, აბა, ვის და სად გაუგონია?! კოჰაბიტაცია კოჰაბიტაციად, მაგრამ საგრანტო კომისიის თავმჯდომარედ კი იმთავითვე უკონკურენტო ორ პრეტენდენტს, ე.ი. ხუხასა და ლაგაზას შორის, ცალკე კონკურსი იქნება მოსაწყობი. ოღონდ ფრთხილად, რადგან ეს ჩემის გვარამაა თუ ვარამა, ფარშევანგისტი თუ იმპოფაშტენტი, მაინც ინკვიზიციურად განსჯის და საჩვენებელი თითის ქნევით, თუ მაგიდაზე მუშტის დარტყმით არა, გამოაცხადებს: ამ გრანტისთვის ბიუჯეტიდან ფულის ხარჯვა წრეგადასული კორუფციაა და ხუხა-ლაგაზას თვალში უთუოდ მართალიც იქნება!

დავით ზარდიაშვილი

◎ კონფლიქტების ჯაჭვური რეაქცია

პრეტენზიები კაზაკებსაც „გაუჩნდათ“

კავკასიაში ტერიტორიული დავების ახალი კერები ჩნდება

კავკასიაში ახალი კონფლიქტების „წარმოებაში ჩაშვებული“ ჯაჭვური რეაქცია გრძელდება. გაჩნდა ტერიტორიული დავების ახალი კერა.

13 ოქტომბერს პიატიგორსკში „კაზაკთა კავკასიური ხაზის“ ე.წ. „წრის“ გაფართოებული კრება გაიმართა, რომელზეც „ნაურისა და შელვოკსკის რაიონების ჩეჩნეთის რესპუბლიკისთვის ჩამორთმევისა და სტავროპოლის მხარისთვის დაბრუნების“ საკითხის ინიცირება გადაწყდა.

როგორც კრების შედეგად სტავროპოლის მხარის გუბერნატორ ვლადიმიროვისა და სტავროპოლის სამხარეო საკრებულოს თავმჯდომარის იაგუბოვის მიმართ შემუშავებულ მიმართვაშია აღნიშნული, ხსენებული რაიონები „თერგის კაზაკებს ეკუთვნოდათ“.

კრების მუშაობაში მონაწილეობა მიიღეს როსტოვის, კრასნოდარისა და სტავროპოლის მხარეების, ასევე ადიღესა და ყარაჩაი-ჩერქეზეთის რესპუბლიკების არასარეესტრო ატამანებმა.

14 ოქტომბერს მუდმივმოქმედი „სტავროპოლის სამოქალაქო ფორუმის“ სხდომაზე კი ხსენებულ მიმართვას სტავროპოლის მხარის კიდევ 10-მა საზოგადოებრივმა და პოლიტიკურმა ორგანიზაციამ დაუჭირა მხარი.

„ჩეჩნეთის ლიდერ რამზან კადიროვის ინიციატივა მის რესპუბლიკასა და ინგუშეთს შორის ახალი საზღვრის დადგენის შესახებ სრულად არის მხარდაჭერილი რუსეთის ფედერაციის ხელისუფლების მიერ, რომლის სრულუფლებიანი წარმომადგენელი ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში მატოვნიკოვი 26 სექტემბერს კადიროვისა და ევკუროვის მიერ შესაბამისი შეთანხმების ხელმოწერას პირადად ესწრებოდა. ეს უტყუარი ფაქტი სტავროპოლის მხარის აღმასრულებელ და საკანონმდებლო ხელმძღვანელობას აძლევს საფუძველს, ასევე მოახდინონ ინიცირება საზღვრების შეცვლისა ჩეჩნეთის ნაურისა და შელკოვსკის რაიონებთან, რომლებიც ადრე სტავროპოლის მხარის შემადგენლობაში შედიოდა და 1956 წელს ხრუშჩოვმა ჩეჩნეთს უკანონოდ გადასცა.

ისტორიული სამართლიანობის აღსადგენად და ჩრდილოეთ კავკასიის ფედერალურ ოლქში ვითარების სტაბილიზაციის მიზნით ეს რაიონები სტავროპოლის მხარის შემადგენლობაში უნდა დაბრუნდეს.

გვსურს, საზოგადოებრიობის ყურადღება გავამახვილოთ ასევე იმ ფაქტზე, რომ ჩეჩნეთსა და ინგუშეთს შორის უთანხმოების საგანს წარმოადგენს სუნჟისა და ნადტერეჩნის რაიონები, რომელთა ტერიტორიაზეც ასწლეულების განმავლობაში ცხოვრობდნენ და ამ რეგიონში სტაბილურობის გარანტად გვევლინებოდნენ თერგის კაზაკები“, – ნათქვამია მიმართვაში.

შევეშვათ მარაზმატულ საარჩევნო კამპანიას!

რა საბჭოეთი და რის მურვან ყრუ!

საპრეზიდენტო **არჩევნები გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ძალიან საინტერესოა, იმ უცნაური პროცესის ანატომია, რასაც ქართული საპრეზიდენტო არჩევნები ჰქვია.**

საქართველო რის საქართველო იქნება, რომ ნებისმიერი მოვლენა ნორმალურად, ცივილურად განვითარდეს და მოსახლეობას ღირსეული მომავლის რწმენა ჩაუნერგოს?

საზოგადოებას გაუჩნდა უმწვავესი შეკითხვა – ნეტა, რომელიმე ნორმალურ ქვეყანაში თუ მიმდინარეობს საპრეზიდენტო არჩევნები არა პროგრამების, იდეების, ნოვაციების განხილვის ნაცვლად, ერთი პოლიტიკური ძალის მიერ რაღაც ჩანაწერების გამოქვეყნების და აგრესიული პიარკამპანიის ფონზე?

კამპანიის, რომელშიც ხელისუფლება დარეგულირების, შესაბამისი ზომების მიღებისა და აშკარა კანონდარღვევების აღკვეთის ნაცვლად, „ფინთი გოიმივით არის ავარდნილი“ და კანონით გათვალისწინებულ ზომებს არ ღებულობს?

გადავწყვიტე, პირდაპირ მივმართო, ასე ვთქვათ, „დიდ პოლიტიკაში მოლივლივე“ კანდიდატებს და მათ მხარდამჭერებს:

ჩემი ხმის მიღება რომ გინდა, მითხარი რას აპირებ?

ჩამოყალიბებულად, ხალხისთვის გასაგებ ენაზე მითხარი. სალაძის და კაპიტანი გიგაურის მიერ ნაბოდიალებ, ევროსტრუქტურულ გაუგებარ ენაზე კი არა – ადამიანურზე!..

მითხარი ვინ გეყოლება მრჩეველი საგარეო ურთიერთობის საკითხებში, სამხედრო პრობლემებში, ვის ექნება დიალოგი მთავრობასთან, პარლამენტთან, ხალხთან.

რა პოლიტიკა გექნება რუსეთთან.

არ მაინტერესებს, თუ როგორ იკრავს ნინო ანანიაშვილი პუანტებს და არც სალომე ზურაბიშვილის ფრანგულ აქცენტზე მაქვს გართულება.

შენ საქმე მითხარი.

საქმე!

გეყურებაااა?!

არადა, საქმეზე საუბრის ნაცვლად, იმის ნაცვლად, რომ კანდიდატები ერთმანეთს სახელმწიფოს განვითარების გზების უკეთ დასახვაში შეეჯიბრონ, მედიასივრცეში გამოყოფილი უფასო პოლიტიკური სარეკლამო დრო და პოლიტიკური თოქშოუები, ერთმანეთის ლანძღვაში და რაღაც უაზრო ფარული ჩანაწერების ჩვენებაში იხარჯება.

ჩანაწერების ავთენტურობა, ცხადია, გვაინტერესებდა. გვაინტერესებდა იმიტომ, რომ ვიცოდეთ, სად ვცხოვრობთ – კრიმინალის ქვეყანაში თუ ერთ-ერთი პოლიტიკური ძალის მიერ, ჩემი და საზოგადოების ფსიქოლოგიური ზემოქმედების ქვეშ! მაგრამ შესაბამისი სამსახურების მიერ რეალური დასკვნის დადებამდე მინდა, გავიგო – ნიკა გვარამია ტელეკომპანიის დირექტორია, თუ ანდროპოვი, ყველა საიდუმლო ჩანაწერი მასთან რომ იყრის თავს?

მაინტერესებს, თუ როგორ ხდება ინფორმაციის გაჟონვა ორგანიზაციებიდან, რომლებიც ყველაზე მეტად უნდა იყოს დაცული, ანუ დაწყებული ბანკებიდან, დამთავრებული სასჯელაღსრულების დაწესებულებამდე...

მაინტერესებს და მეშინია იმის, გამოიყენებენ თუ არა თავიანთ შესაძლებლობებს პირადად ჩემი, ან ჩემი ახლობლების წინააღმდეგ და ამ შემთხვევაში თავის დაცვის გამო, მომიწევს თუ არა კრიმინალზე წასვლა (ვიმეორებ: თავის დაცვის გამო, მომიწევს თუ არა კრიმინალზე წასვლა).

სიტყვა „კრიმინალის“ ინტერპრეტაცია თქვენთვის მომინდვია.

პენიტენციალურ სისტემაში გაკეთებული ჩანაწერების შესახებ პროკურატურამ განცხადება გააკეთა: გამოძიების ერთ-ერთი ვერსიით, საქმე შესაძლოა გვქონდეს ბრალდებულ მირზა სუბელიანის მცდელობასთან, ცრუ, მის მიერვე გამოგონილი დანაშაულებრივი ფაქტების გასაჯაროების მუქარით, ზემოქმედება მოახდინოს მისი ბრალდების საქმის საბოლოო შედეგზეო!

ძალიან კარგი, მაგრამ საბანკო ანგარიშების გასაჯაროება „ლაითი პონტია“?

რატომ არ იკვლევენ, თუ როგორ მოხვდა „რუსთავი-2“-ში იმ ექიმებზე არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია, რომლებმაც სალომე ზურაბიშვილის საარჩევნო კამპანიას გარკვეული თანხები შესწირეს?

არადა, ის საკითხი, რომელიც ადამიანის პირადი ინფორმაციის დაცვას ეხება, ნებისმიერი დემოკრატიული სახელმწიფოსთვის უმთავრეს პრიორიტეტს წარმოადგენს.

და რას აკეთებს ამ დროს ჩვენი საზოგადოება?

არაფერს!

აბსოლუტურად არაფერს და პროტესტის ნაცვლად ვსხედვართ და ვუყურებთ, თუ როგორ „კვნესის“ ვაშაძე რუსეთის სიყვარულით.

ვუყურებთ, თუ როგორ ზის ტელეკამერის წინ ვიღაც ტიპი, გადამთვრალი თამადის პოზაში და რაღაცას „ბაზრობს“.

ვუყურებთ, თუ როგორ ითხოვენ ხმის მიცემას იმ არსებისთვის, რომლის პატრონმა პირადად აწამა სულხან მოლაშვილი.

ვუყურებთ ბანკების ყაჩაღობის წინააღმდეგ მგზნებარე ფრაზებს და ვიცით, რომ ამ ფრაზების მთქმელი ვერაფრის გაკეთებას ვერ შესძლებს.

ვუყურებთ ქალბატონს, რომელიც სამწუხაროდ, ჩარჩენილია 80-იან წლებში.

ვუყურებთ ქალბატონს, რომელიც არაფერს გვპირდება და ვერაფერს შეცვლის გარდა იმისა, რომ ე.წ. კოჰაბიტაციას მაქსიმალურად დაუპირისპირდება. ვუყურებთ და ვხედავთ, რომ მას სწორედ ამის გამო ებრძვიან.

წესით, მე ამ ბოლო კანდიდატს უნდა დავუჭირო მხარი.

წესით კი არა, არსებული რეალობიდან გამომდინარე და ძალიან სამწუხაროა, რომ ამ ყველა საზიზღარი ნიუანსის გათვალისწინებით, იძულებული ვარ, რომ არა პრაგმატული, არამედ იძულებითი გადაწყვეტილება მივიღო.

ეს არ არის საარჩევნო კამპანია. ეს სრული უვიცობა და იდიოტიზმია.

ამ რეალობაში მე უნდა (დიახ, „უნდა“) მივიღო ის გადაწყვეტილება, რომელიც გამომდინარეობს არც ემოციიდან, არც შეთავაზებული პროგრამიდან, არც მომავლის იმედიდან. რაც შეეხება კანდიდატების სარეკლამო კლიპებს ან საჯარო გამოსვლებს, იქაც სრული მარაზმი და სისულელეები ტრიალებს.

ვითომდა ეროვნული და პატრიოტული პათოსის გასამძაფრებლად აუცილებლად ახდენენ შედარებას საბჭოთა პერიოდთან.

შტაბების წევრებო, ნუთუ არ ხართ ვინმე მცოდნე, განათლებული ან თქვენი კანდიდატის პატივისმცემელი?

უთხარით თქვენს კანდიდატებს, რომ საბჭოეთში წინასაარჩევნო პერიოდი არ იყო! არ იყო, არაااااა!

ბრეჟნევი კენჭს იყრიდა ბაუმანის ოლქში და აბა, რომელი ვაშაძე გაბედავდა და „ვრემიაში“ რაღაც ფარულ ჩანაწერებს გამოაქვეყნებდა?

შეეშვით ამ კედლებზე სერტიფიკატჩამოკიდებულ ტიპებს, შეეშვით და ნორმალურ ადამიანებს ჰკითხეთ, რა ხდება ქვეყანაში, რაზე უნდა გაამახვილოთ ყურადღება და რა უნდა გააკეთოთ.

დაიმახსოვრეთ – საბჭოეთი ქობულეთის პლაჟზე ნაყიდი მოხარშული სიმინდი არ არის და თუ დასავლეთელმა პიარშჩიკებმა დაგავალეს, რომ მაინცდამაინც ანტისაბჭოთა რამე უნდა თქვათ (დედა რა სისულელეა!) რაღაც რეალური მოძებნეთ (ვერ იპოვით თუ რა?).

კიდევ ერთხელ გეტყვით – შევეშვათ მარაზმატულ საარჩევნო კამპანიას. რა საბჭოეთი და რის მურვან ყრუ! მომავალზე მელაპარაკეთ!

და რადგანაც თქვენსას მაინც არ იშლით და საბჭოთა პერიოდში დაბადებულ ხალხს, ვინც ნორმალური განათლება მიიღო, ცინიკურად „ინწელიგენტებს“ ეძახით, პირდაპირ გეტყვით რომ – **მე „ინწელიგენტი“ ვარ.**

ვარ ჩემი ცნობიერებით, წარმოშობით, განათლებით, აზროვნებით, ხედვით. დოსტოევსკის და პუშკინს ორიგინალში ვკითხულობ (ხშირად), შპალიკოვის ლექსები მიყვარს, შალამოვი სოლჟენიცინს მირჩევნია და ვისოცკის ვუსმენ.

დიახ, მე ინწელიგენტი ვარ, ეს ძალიან მეამაყება და ზემოდან ვუყურებ იმ ხალხს, რომლებსაც რაღაც ევროპული ორგანიზაციების რეზოლუციების მეტი არ წაუკითხავთ, ვისაც ლაშა ბუღაძე მწერალი ჰგონია და ჰარუკი მურაკამი, რომელიღაც რესტორნის საფირმო კერძი.

* * *

წერილს **კი არსებული რეალობით დავამთავრებ: ხალხს დღეს რეალურად ერთადერთი რამ – შვილების და სამშობლოს მომავალი აღელვებს და სტკივა.**

არანაირი პათეტიკა – ეს ჩვენი სამშობლოა და ვინც მხოლოდ ისე უყურებთ როგორც „ქვეყანას“, ან „სახელმწიფოს“, ჟარგონით რომ ვთქვა, შეგიძლიათ, აქედან „დაახვიოთ“.

გია გაბრიჭიძე

ქობულეთში გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო ბანერს წითელი საღებავი შეასხეს

ქობულეთში გაერთიანებული ოპოზიციური პარტიების „ძალა ერთობაშია“ პრეზიდენტობის კანდიდატის გრიგოლ ვაშაძის საარჩევნო ბანერს წითელი საღებავი შეასხეს.

აღნიშნულ ვანდალურ ფაქტთან დაკავშირებით ბათუმის ორგანიზაციამ საგანგებო ბრიფინგი გამართა. ოპოზიციამ მოითხოვა, დაუყოვნებლივ დაგმოს ფაქტი ბათუმის მერმა და აჭარის მთავრობის თავმჯდომარემ, ასევე მოხდეს ვანდალური ფაქტის გამოძიება.

ჩამოიხსნას კანონდარღვევით გაკრული სააგიტაციო მასალა!

თბილისის **მერმა კახა კალაძემ „თბილსერვის ჯგუფის“ ხელმძღვანელს სააგიტაციო მასალების იმ შენობა-ნაგებობებიდან და ლოკაციებიდან დაუყოვნებლივ ჩამოხსნა დაავალა, რომელზეც მათი გაკვრა ნებადართული არაა.**

მისივე დავალებით, მსგავსი ადგილების დასუფთავება და მოწესრიგება სასწრაფოდ უნდა დაიწყოს.

როგორც კახა კალაძემ განაცხადა, კანონმდებლობით განსაზღვრულია იმ შენობა-ნაგებობების ჩამონათვალი, რომლებზეც სააგიტაციო მასალების გაკვრა ნებადართული არ არის.

„სამწუხაროდ, თბილისში არსებობს ადგილები, სადაც საარჩევნო პლაკატებია გაკრული – ისტორიულ ძეგლებზე, მეტროს ჩასასვლელებში, რაც ძალიან დიდ უხერხულობას ქმნის. ჩვენთვის ეს ყველაფერი კატეგორიულად მიუღებელია. მესმის, რომ არის არჩევნები, მაგრამ გამოყოფილია სპეციალური ადგილები, სადაც მათ აქვთ უფლება, საარჩევნო პლაკატები განათავსონ და არა ისეთ ადგილებზე, რომელიც ქალაქისთვის ძვირფასი და მნიშვნელოვანია. შესაბამისად, იმოქმედეთ და დღესვე მოაწესრიგეთ ეს ყველაფერი“, – განაცხადა კახა კალაძემ.

თბილისის მერმა მთავრობის გუშინდელ სხდომაზე საზოგადოებას კანონდარღვევით გაკრული სააგიტაციო მასალების ამსახველი ფოტომასალაც წარუდგინა.

◎ ესეც ასე!

პირველობის მძიმე ჯვარი

საქართველოს ეროვნული ნაკრები პირველია, რომელმაც ვადამდე გაინაღდა უეფას ეროვნებათა ლიგის ჯგუფურ რაუნდში გამარჯვება და წყალწაღებულთა კალათიდან უფრო ზედა ეშელონამდე აღზევდა.

შეგახსენებთ, რომ ახალი ტურნირის პირველი გოლიც სასტარტო შეხვედრაში ჩვენი გუნდის ყველაზე ნათელმა წერტილმა ჩაკვეტაძემ გაიტანა.

კეთილი და პატიოსანი, „ჯვაროსნები“ მართლაც ქების ღირსნი არიან და ვულოცავთ კიდეც დამსახურებულ წარმატებას, მაგრამ, მოდით, ნუ გადავეშვებით ხბოს აღტკინებაში და ისიც ვთქვათ, რომ ეს ის ბიჭები არიან, რომელთაც მონდომება არც განვლილ შესარჩევ ციკლში აკლდათ, როცა მოუგებლად დაასრულეს სეზონი.

მაშ, რაშია საქმე? – იბადება კითხვა. რომ მოვიტყუოთ თავი და თქვენი გაცუცურაკებაც ვცადოთ – აქაოდა ვლადიმირ ვაისმა შეგირდებს „ფოკუზი“ გაუკეთა და რამდენიმე თვეში სრულყოფილებამდე აიყვანა მათი ოსტატობაო, უპირველესად, საკუთარი სინდისის წინაშე შევცოდავთ.

ასე რომ არ მოხდეს, ვაღიაროთ, რომ ძაღლის თავი მეტოქეთა სისუსტეშია დამარხული და ჩვენს თანამემამულეთა ჭეშმარიტი ძალის შესაფასებლად ჯერ აღნიშნული ტურნირის პლეიოფებს, ხოლო მოგვიანებით უფრო მაღალი რანგის შეხვედრებს უნდა დაველოდოთ.

ლატვია - საქართველო 0:3

პირველი ტაიმი 0:2

გოლები: კანკავა, გვილია, ჩაკვეტაძე.

გამოუყენებელი პენალტი: ყაზაიშვილი.

ყაზახეთი - ანდორა 4:0.

სატურნირო მდგომარეობა 4 ტურის შემდეგ: საქართველო – 12, ყაზახეთი – 5, ლატვია, ანდორა – 2-2 ქულა.

16 ნოემბერს ითამაშებენ: ანდორა – საქართველო, ყაზახეთი – ლატვია.

* * *

მატჩის პირდაპირ ტრანსლაციას სიონის ქუჩაზე დედაქალაქის მერი კახა კალაძე დაესწრო.

მან ფეხბურთის ქართველ გულშემატკივარს გამარჯვება მიულოცა და ეროვნულ ნაკრებს წარმატება უსურვა.

„ვულოცავ საქართველოს ნაკრებს ამ მნიშვნელოვან გამარჯვებას. ასევე, მინდა მივულოცო ქართველ გულშემატკივარს და ქართული ფეხბურთის ყველა ქომაგს. საქართველოს ეროვნულ ნაკრებს საზოგადოების მხრიდან ძალიან დიდი მხარდაჭერა აქვს. მინდა წარმატებები ვუსურვო მას და იმედი მაქვს, კიდევ ბევრჯერ გაგვახარებს“, – განაცხადა თბილისის მერმა.

კახა კალაძესთან ერთად პირდაპირ ტრანსლაციას პარლამენტის თავმჯდომარე ირაკლი კობახიძე, მერის მოადგილეები – ირაკლი ბენდელიანი, ილია ელოშვილი, სოფიო ხუნწარია და მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის ხელმძღვანელი ირაკლი გვილავა ესწრებოდნენ.

მატჩის პირდაპირი ტრანსლაცია დიდ ეკრანზე დედაქალაქის მერიამ უზრუნველყო და მასზე დასწრება თავისუფალი იყო.

გიორგი ზოთაძე

◎ ინტერნეტიდან

ნურგულ ეშილჩაი გაანაწყენეს



ჩვენს მეზობელ ოსმალეთში ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მსახიობი ქალი ნურგულ ეშილჩაი თურქული სერიალების მოყვარულმა ქართველებმაც, ალბათ, ძალიან კარგად იციან. ყოველ შემთხვევაში, მისი თანამემამულენი ამბობენ, რომ ამ ქალის დარი ლამაზი და ცნობადი ვინმე ჯერ არ გვყოლიაო.

ნურგულ ეშილჩაის სიტყვასა და აზრს თურქულ საზოგადოებაში დიდი ძალა ჰქონია და არავის გაკვირვებია ის, რომ ცოტა ხნის წინათ 42 წლის ქალბატონი ნურგული ეროვნულ საფეხბურთო ნაკრებზე განაწყენებულა. როგორც იცით, იგი საქართველოს ნაკრებისთვის მშვენივრად დაწყებულ ერთა ლიგაზე არც ისე კარგად გამოდის.

რუსებთან უშანსოდ დამარცხებამ მთელს თურქეთში დიდი გულისწყრომა გამოიწვია. ნურგულ ეშილჩაიც მათთაგანია,რომლებიც თვისტომთა უხერხემლობამ ძალიან გააბრაზა. თურქებს იმედი ჰქონდათ, რომ დიდი ხნის შემდეგ კვლავ შეძლებდნენ უმაღლესი საფეხბურთო ფორუმის საგზურის მოპოვებას, მაგრამ...

როსტომ რაჭველიშვილი

◎ ახალგაზრდული ოლიმპიადა

ვიბრძოლეთ, მაგრამ...

საქართველოს 3X3 კალათბურთელთა ნაკრები ახალგაზრდულ ოლიმპიურ თამაშებზე საუკეთესო 8 გუნდში მოხვდა, თუმცა, ოთხეულში ვეღარ გავიდა. იგი ნახევარფინალში მასპინძელმა არგენტინამ არ შეუშვა, რომელმაც „ჯვაროსნები“ 21:12 დაამარცხა.

იმავე დღეს სლოვენიამ რუსეთს 15:14 მოუგო, უკრაინამ იტალიას 14:11 სძლია, ხოლო ბელგიამ ბრაზილია 21:10 დაამარცხა. საქართველომ შეხვედრა აგრესიულად დაიწყო და წუთზე მეტ ხანს მეტოქეს ბურთი არ ჩააგდებინა, თუმცა, მასპინძლებმა მაინც მოახერხეს სტუმართა დაცვის გარღვევა და ამაში შორეული სროლებიც დაიხმარეს.



ჩამორჩენილმა ქართველებმა ვითარების გამოსწორება რამდენჯერაც სცადეს, იმდენჯერ სამხრეთამერიკელთა სამქულიანებმა შეუშალათ ხელი. ამას დაერთო შეცდომები – თითქოს უვნებელ სიტუაციაში ბურთის დაკარგვები და მასპინძლებმა ხელჩასაჭიდი უპირატესობა (6:0) რომ მოიპოვეს, გამარჯვებამდე ზედმეტი გართულებების გარეშე მივიდნენ.

საქართველოს ნაკრებმა ლუკა მაზიაშვილის, ოთო პერტაიას, ზურა ჟღენტისა და ლაშა მიქელაძის შემადგენლობით ოლიმპიადაზე ღირსეულად იასპარეზა და ოფიციალური სტატისტიკით საბოლოოდ მე-6 ადგილი ერგო, რადგან მეოთხედფინალში დამარცხებულთაგან ჩვენზე მეტი – 14 ქულა – მხოლოდ რუსეთმა ჩააგდო (და შესაბამისად მე-5 ადგილი დაიკავა).

ნახევარფინალში სლოვენია ბელგიას, ხოლო არგენტინა უკრაინას შეხვდება.

კოგა კოგახიძე

◎ კალათბურთი

ამჯერად - უჩვეოდ

გუშინ ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის 73-ე სეზონი დაიწყო. იგი „ბოსტონი“ – „ფილადელფიის“ (105:87) მატჩით გაიხსნა, რომელშიც სტუმრებმა ვერც ერთი მეოთხედი ვერ მოიგეს. მასპინძელთაგან 23 ქულით, 9 მოხსნით და 3 პასით ტატუმი გამოირჩა, ხოლო მეტოქეთაგან საუკეთესო ჯოელ ემბიდი გახლდათ, რომელმაც გუნდს 23 ქულა, 10 მოხსნა და 2 პასი შესძინა.

ნბა-ს მოქმედმა ჩემპიონმა „გოლდენ სტეიტმა“ შინ „ოკლაჰომა“ 108:100 დაამარცხა. შეხვედრაში გადამწყვეტი მეოთხე პერიოდი აღმოჩნდა, რომელიც „მეომრებმა“ უკეთესად ჩაატარეს. ყველაზე მეტი – 32 ქულა სტეფ კარიმ ჩააგდო, დურანტს 27 ქულა ჰქონდა, „ოკლაჰომაში“ კი 27 ქულით პოლ ჯორჯი გამოირჩა. მისი ლიდერი რასელ უესტბრუკი მუხლის ტრავმის გამო არ თამაშობდა. მატჩამდე „გოლდენ სტეიტის“ კალათბურთელებს, ვინც შარშან ტიტული შეინარჩუნეს, საჩემპიონო ბეჭდები გადასცეს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ჩოგბურთი

კერბერმა მწვრთნელი დაითხოვა

მსოფლიო რეიტინგით მესამე ჩოგბურთელმა ანგელიკა კერბერმა მწვრთნელი ვინ ფისეტი დაითხოვა. აღნიშნულ ინფორმაციას Tennis Magazin-ი ავრცელებს.

წყაროს ცნობით, თანამშრომლობის დასრულების მთავარი მიზეზი აზრთა სხვადასხვაობა გახლდათ. თავად ანგელიკა მისი კარიერის განვითარებას სხვანაირად ხედავდა, ხოლო ფისეტს კერბერის თამაში სხვა სტრატეგიით უნდოდა წაეყვანა. ვინ ფისეტი კერბერთან 2017 წლიდან მუშაობს და მათ ერთად წლეულს უიმბლდონი მოიგეს.

ფისეტი ძალიან ცნობილი მწვრთნელია და ის ბევრ ისეთ წარმატებულ ჩოგბურთელს ავარჯიშებდა, როგორებიც არიან კიმ კლაისტერსი, საბინ ლისიცკი, სიმონა ჰალეპი, ვიქტორია აზარენკა, სარა ერანი, პეტრა კვიტოვა და იოჰანა კონტა.

მანუჩარ გიორგაძე

◎ ნობელიანტები

„გაცურებული“ მშვიდობისმყოფელები

ბოლო თვეების მანძილზე საერთაშორისო თანამეგობრობა მორალურად მზად იყო საიმისოდ, რომ ნობელის მშვიდობის პრემიას (მას ხალხთა ერთმანეთთან დაახლოებისთვის, ჯარების რიცხოვნობის შემცირებისთვის, ანდა, სულაც, ლიკვიდაციისთვის, სამშვიდობო კონფერენციების ჩატარებისთვის და ა. შ. ანიჭებენ), ან ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი დონალდ ტრამპი, ან კორეის სახალხო-დემოკრატიული რესპუბლიკის ლიდერი კიმ ჩენ ინი, ან კიდევ რომის პაპი ფრანცისკი, ან კატალონიის ლიდერი კარლეს პუჩდემონი მიიღებდნენ.

მაგრამ ყველასათვის მოულოდნელად ლაურეატები კონგოს დემოკრატიული რესპუბლიკის ექიმი **დენის მუკვეგე** და ირანელი სამართალდამცველი **ნადია მურად ბასეტახა** გახდნენ. ეს უაღრესად საპატიო ჯილდო მათ მიენიჭათ „სექსუალური ძალადობის, როგორც ომის იარაღისა და შეიარაღებული კონფლიქტების შეწყვეტის საქმეში გამოჩენილი ძალისხმევისთვის“.

ნადია მურადი 2012 წელს ხელთ იგდეს აკრძალული „ისლამური სახელმწიფოს“ ბოევიკებმა. სამი თვის განმავლობაში ქალიშვილი სექსუალურ მონობაში იმყოფებოდა — მანამდე, სანამ გაქცევას შეძლებდა. ამის შემდგომ მან ისლამისტების წინააღმდეგ მოწმედ გამოსვლა დაიწყო. აზრის თავისუფლებისთვის იგი ანდრეი სახაროვისა და ვაცლავ ჰაველის ადამიანის უფლებათა დაცვისთვის პრემიებით დააჯილდოვეს. ერაყის მთავრობამ იგი ნობელის მშვიდობის პრემიის ნომინანტად ჯერ კიდევ 2016 წელს წარადგინა.

დენის მუკვეგეს, კონგოელ ექიმ-გინეკოლოგს, ჰოსპიტლის დამაარსებელს კი ნობელის პრემია მიენიჭა ჯგუფურად გაუპატიურებული მსხვერპლი ქალების დახმარების გაწევაში. მას უკვე მინიჭებული აქვს გაეროს ადამიანის უფლებათა და ა. სახაროვის სახელობის პრემიები.

მიმომხილველები გამოთქვამენ აზრს, რომ ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის წევრებზე ბოლო წლების განწყობამ იქონია, როცა ამერიკის შეერთებულ შტატებში ჰოლივუდელ კინომსახიობ ქალთა მიმართ ძალადობის აქტების მასობრივი მხილების მძლავრი ტალღა აგორდა, რაც ცნობილი პროდიუსერის ვაინშტეინის ხმაურიანი საქმით დაიწყო. შედეგად, დაიწყო მოძრაობა „მეც“ (Me Too), ქალებმა სექსუალური ძალადობის ან მისი მცდელობის ფაქტების შესახებ დაიწყეს ლაპარაკი და ამ ტენდენციამ მძლავრი ხასიათი შეიძინა. ამდენად, ნობელის კომიტეტის წევრებმა ისინი აირჩია, ვისაც აღნიშნული თემის ყველაზე მეტად ესმით. გარდა ამისა, ამ პრემიის მინიჭება დაემთხვა ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი სასამართლოს მოსამართლის თანამდებობაზე ბრეტ კავანის დამტკიცებას, რომელიც ექიმ ქრისტინ ფორდის მიმართ სექსუალურ ძალადობაში დაადანაშაულეს. ამდენად, წლევანდელი ნობელის პრემიის მინიჭებაში პოლიტიკური ასპექტიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს. ნობელის მშვიდობის პრემია ხაზს უსვამს იმ გარემოებას, რომ პრეზიდენტმა დონალდ ტრამპმა მოსამართლის დანიშვნის თაობაზე საბოლოო გადაწყვეტილების მიღებამდე უნდა გაითვალისწინოს, რომ მსოფლიო საზოგადოებრიობასა და ნობელის პრემიის მიმნიჭებელი კომიტეტის წევრებს მიაჩნიათ, რომ პოლიტიკოსის თუ სახელმწიფო მოღვაწის ძალადობაში ნებისმიერი ბრალდება, რომელიც გნებავთ მაღალი თანამდებობის პრეტენდენტს დისკრედიტირებს.

დალი ხუნდაძე

სანთელი

პატივს მივაგებთ მეგობარს

რევაზ ობოლაძის ხსოვნას

გარდაიცვალა ცნობილი მეტყევე-ინჟინერი, ცნობილი მეცნიერი და პედაგოგი, ღირსეული მამულიშვილი, თვალსაჩინო საზოგადო მოღვაწე, შესანატრი კაცური ღირსებებით გამორჩეული პიროვნება, უღალატო და ერთგული მეგობარი, მოყვასის უანგარო თანამდგომი, დაუვიწყარი თანაკურსელი

რევაზ ეზეკის ძე ობოლაძე

და თანაუგრძნობენ განსვენებულის ოჯახს.

საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის სატყეო-საინჟინრო ფაკულტეტის 1960 წლის კურსდამთავრებულები:

ლამარა არღანაშვილი, მადლენა კიღურაძე, გურამ ბერიშვილი, ანზორ ადეიშვილი, ელიზბარ ლომინაძე, ვახტანგ ვარდიაშვილი, ლერი ჭოჭუა, დავით იმნაიშვილი, დემნა ბლიაძე, თამაზ ძურდიანი, სულიკო ჯაყელი, გოგი ახობაძე.

ყალბი დოკუმენტების გასაღება-გამოყენების 176 ფაქტი გამოავლინეს

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს საგამოძიებო სამსახურმა 2018 წლის განვლილ პერიოდში გატარებული ოპერატიულ-სამძებრო ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, ყალბი საანგარიშსწორებო/საგადასახადო დოკუმენტის დამზადება-გასაღება-გამოყენების 176 ფაქტი გამოავლინა.

გამოძიებით დადგინდა, რომ რიგ შემთხვევაში ბრალდებულების მხრიდან, სამწარმეო საქმიანობის განხორციელების პროცესში, ადგილი ჰქონდა საქონლის შეძენა-რეალიზაციასთან დაკავშირებული ყალბი შესყიდვის აქტებისა და სასაქონლო ზედნადებების დამზადება-გამოყენებას. საგამოძიებო მოქმედებებით, ასევე, გამოვლინდა ფაქტები, როდესაც მეწარმეები საქონლის რეალური მიწოდების გარეშე, ყალბი საგადასახადო დოკუმენტების — სასაქონლო ზედნადებებისა და დღგ-ს ანგარიშფაქტურების დამზადება-გასაღებას ახდენდნენ.

ხანძრის დროს ცხვირი... აზღუდში ჩაყავით

სექტემბრის შუა რიცხვებში ამერიკის შეერთებულ შტატებში მთელ რიგ გამომგონებელს ეგრეთ წოდებული იგნობელური („შნობელის“) პრემიები (Ig Nobel Prize) მიანიჭეს... ყველაზე სახალისო სამეცნიერო გამოკვლევებისთვის. ეს პრემია 30 წლის წინათ იუმორისტული ჟურნალის „არაჩვეულებრივ გამოკვლევათა ანალების“ (Annls of Improbable Research) რედაქციამ დააწესა.

პრემიის ლაურეატები ის ავტორები ხდებიან, რომელთა გამოკვლევები ხალხს თავდაპირველად ღიმილს გვრის, მერე კი დაფიქრების საბაბს აძლევს. ეს, ფაქტობრივად, იმას ნიშნავს, რომ სამეცნიერო ნაშრომები თვალის მხოლოდ ერთი გადავლებითაა სასაცილო, თუმცა ყოველდღიურ ყოფაში მათი სარგებლიანად გამოყენება სავსებით შესაძლებელია.

გთავაზობთ ბოლო წლების ნომინანტთა რამდენიმე ყველაზე უჩვეულო გამოკვლევის შედეგებს.

არა მხოლოდ მკერდისთვის

უკრაინული წარმოშობის ამერიკელმა ქალბატონმა **ელენე ბოდნარმა** საკუთარ აზღუდს ერთობ მოულოდნელი გამოყენება მოუძებნა, რაშიც იგნობელის პრემია 2009 წელს მიანიჭეს. მას აზრად მოუვიდა ხანძრის კვამლში ბიუსტჰალტერის... რესპირატორად გადაქცევის იდეა: საამისოდ საჭიროა სახესთან მისი მხოლოდ ერთი მხარის მიტანა. საჭიროების შემთხვევაში კი მისი გამოყენება ასევე უბედურებაში ჩავარდნილ მეგობარ მამაკაცს შეუძლია.

თავისი იდეის განვითარების პროცესში მისის ბოდნარმა აზღუდის გაცილებით სრულყოფილი მოდელი შეიმუშავა — ლიფი-რესპირატორი, რომლის ორივე მხარეს განცალკევება შეიძლება, საგანგებო სამაგრებით ყურებზე ეცმება და გაუმჯობესებული მფილტრავი თვისებები აქვს. ლიფის ეს მოდელი საცვლების მაღაზიებში ამჟამადაც იყიდება.

მიაფურთხეთ ყველაფერს!

წლევანდელმა ლაურეატმა **იტალიელმა** მეცნიერებმა მსოფლიოში საუკეთესო საწმენდ საშუალებას მიაგნეს — ესაა ადამიანის ნერწყვი. მისი ყველაზე ეფექტიანი კომპონენტია ნივთიერება ალფა-ამილაზას ფერმენტი, რომლის წყალობითაც დაბინძურებული ზედაპირი იწმინდება, რასაც ხშირად ვაკეთებთ კიდეც. იტალიელებს თუ ვენდობით, განსაკუთრებით კარგად ნერწყვით მოოქროვილი ნივთები იწმინდება.

ბუზი ღვინოში

ღვინოში ჩავარდნილი ბუზი და წვნიანში „მოჭყუმპალავე“ მწერი სულ სხვადასხვა რამაა, რაც ერთობლივად დაამტკიცეს **შვედმა, კოლუმბიელმა, გერმანელმა, ფრანგმა და შვეიცარიელმა** მეცნიერებმა, რომლებმაც ბიოლოგიაში იგნობელის 2010 წლის პრემია გაიყვეს. მათი მტკიცებით, ბუზიანი ღვინის გემო უმჯობესდება, რისი დადგენაც — ნამყოფია ბუზი ღვინოში თუ არა — მხოლოდ მცოდნე ხალხს შეუძლია.

თუ გინდათ, რომ ყავა არ დაგეღვაროთ...

სამხრეთკორეელმა **ჯივონ ჰანმა** ჯერ კიდევ სტუდენტობაში დაიწყო იმაზე ფიქრი, თუ როგორ შეიძლებოდა ყავის მანქანაში დამზადებული სასმლის სამუშაო ადგილამდე ყველაზე უსაფრთხო ხერხით, დაუქცევლად მიტანა. და, თქვენ წარმოიდგინეთ, საწადელს მიაღწია კიდეც! მისი ექსპერიმენტებით დადასტურდა, რომ ყველაზე ნაკლებად ყავა მაშინ იღვრება, როცა თქვენ უკან-უკან, ანუ ზურგით წინ მიდიხართ. ჰიდროდინამიკაში ეს მნიშვნელოვანი მიგნება პრემიით ასევე შარშან აღინიშნა.

2012 წელს კი დაახლოებით ამავე თემას მიუძღვნა თავისი ოპუსი კანადელმა რუსმა **რუსლან კრეჩეტნიკოვმა,** რომელმაც დაადგინა, რომ მიტანისას ყავა იღვრება მიმტანის ნაბიჯების არათანაბრობის გამო.

მუსიკა... ჩანასახისთვის

იცოდნენ რა იმის შესახებ, რომ დედის მუცელში მყოფი ჩანასახი მუსიკაზე დადებითად რეაგირებს, კონკრეტულად კი იღიმება, **ესპანელმა** მეცნიერებმა მომავალი პატარების კიდევ უფრო მეტად გამხიარულება და კარგ გუნებაზე დაყენების ხერხი მოიგონეს, რაშიც შარშან ჯილდოც დაიმსახურეს. თავიანთი ექსპერიმენტების დროს, ისინი მუსიკის ტრანსლირებას არა მუცლიდან, არამედ... უშუალოდ საშოდან ახდენდნენ და კარგ შედეგსაც მიაღწიეს — ჩანასახები უფრო მეტად იღიმებოდნენ.

მუსიკის ტრანსლირების **„იგნობელური“** მოწყობილობა, რომელსაც Babypod ეწოდება, კარგად იყიდება.

ამოზრიალებული სამყარო

იგნობელის პრემიის 2016 წლის ლაურეატები გახდნენ **იაპონელები,** რომლებმაც ღირსშესანიშნაობების ტრფიალთა აღქმის გამრავალფეროვნების ხერხი მოიგონეს. მეცნიერებმა აღმოაჩინეს, რომ კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები სულ სხვანაირად აღიქმებიან, როცა დამკვირვებელი მათ ამოყირავებულად უცქერს — კერძოდ, როცა წელში მოიხრება და თავს ფეხებშუა ჩაყოფს.

ჯერ ფეხსაცმელი, მერე - წინდები

ახალზელანდიელი შეილა უილიამსი თავის ორ კოლეგასთან ერთად ყველას მოგვიწოდებს, რომ წინდები, კოლგოტები და გოლფები... ფეხსაცმლის შიგნით კი არა, გარედან ჩავიცვათ. ყოველივე, ცხადია, სასაცილო იქნებოდა, რომ არა ერთი გარემოება: ექსპერიმენტულად დადგინდა, რომ ამ გზით შეიძლება ფეხის გაცურების გამო ყინულზე დაცემის ალბათობის შემცირება, ვინაიდან ამ დროს ზედაპირებს შორის შეჭიდულობა მატულობს.

ამ გამოგონების გამოქვეყნება ქალბატონებმა... სამედიცინო ჟურნალში შეძლეს, თუმცა შედეგად 2009 წლის **იგნობელის** პრემია ფიზიკაში მიიღეს.

საპირფარეშოსთან ფიქრი არ ღირს!

2011 წელს აღინიშნა **ამერიკელ, ბელგიელ, ჰოლანდიელ და ბრიტანელ** მეცნიერთა გამოყენებითი გამოკვლევები. მათ ექსპერიმენტულად დაადასტურეს, რომ კაცს, რომელსაც საჭირო ოთახში შესვლა „პატარაზე“ უნდა, ღრმად დაფიქრების უნარი ნაკლებად აქვს, ხოლო „დიდ გასაჭირზე“ ხომ ლაპარაკიც არაა!.. ამ დროს გასაჭირში მყოფი კაცი, როგორც წესი, თურმე ნაკლებად გონივრულ გადაწყვეტილებებს იღებს.

მოამზადა
ოთარ ტურაბელიძემ

ბენია თხილავა, ეს „უბრალო“, შესანატრი მოღვაწე...



მელიტონ ბალანჩივაძის სახელობის ქუთაისის ოპერისა და ბალეტის თეატრში გაიმართა ცნობილი ჟურნალისტის, ქუთაისის საპატიო მოქალაქის ბენია თხილავას დაბადებიდან 80 წლისთავისადმი მიძღვნილი საიუბილეო საღამო. ამ დღესთან დაკავშირებით საქართველოს ჟურნალისტთა შემოქმედებითი კავშირის პრეზიდიუმმა ბატონ ბენიას საქართველოს დამსახურებული ჟურნალისტის საპატიო წოდება მიანიჭა.

იშვიათია შემთხვევა, როდესაც ქუთაისის პედაგოგიური ინსტიტუტის ფიზიკა-მათემატიკის ფაკულტეტის კურსდამთავრებული, ცნობილი ჟურნალისტი გამხდარიყოს. მისი პუბლიკაციები ხშირად იბეჭდებოდა გაზეთებში: „საქართველოს რესპუბლიკა“, „ლიტერატურული საქართველო“ „ქუთაისი“, „სარკმელი საქართველოსი“, „ახალი წყალტუბო“. ჟურნალებში: „განთიადი“ „მერმისი“ „ნოსტალგია“ და სხვა. იგი დიდი ენთუზიაზმით თავმჯდომარეობს იუმორის ეროვნულ აკადემიასა და რედაქტორობს ყოველთვიურ გაზეთს „იპოლიტე“. მანვე დააარსა საზოგადოებრივი სატელევიზიო კლუბი, სადაც ყოველკვირეული ერთსაათიანი პროგრამით 800 გადაცემა მოამზადა ტელეარხ „რიონზე“. ავტორია 20 სხვადასხვა ჟანრის წიგნისა, წერს ლექსებს, რომლის ტექსტზეც არაერთი სიმღერა შეიქმნა.

დაბადების დღეს ვულოცავთ ბატონ ბენია თხილავას, მრავალი კეთილი და ეროვნული საქმის მოთავეს, შესანატრი იუმორის მქონე ნიჭიერ კალმოსანს, კოლორიტულ ქუთაისელს, ყველასთვის პატივსაცემ და დასაფასებელ პიროვნებას.

კვლავაც მხნედ და ვაჟკაცურად, ბატონო ბენია, საუკუნემდე ოცი წელიწადი ჯერ კიდევ შენია...

სპარტაკ ქობულია,
ივანე ჯაფარიძე, გუბაზ მეგრელიძე.

ფიქრთ გასართველად

სხვათაგან თქმული

მეფის ერთი საყვარელი გევრად მეტსა ვნებს სახელმწიფოს, ვიდრე დედოფლის საყვარლებს მოაქვთ სარგებლობა.

* * *

გოლო დროს განკვების შიში იმიტომ გაგვიჩნდა, რომ ვაითუ მოულოდნელად გაძარცვონ!

* * *

წარმოიდგინე, რა ძალა უნდა გქონდეს ისეთი, რომ ჭკუა არ გჭირდებოდეს.

* * *

სარკეს ვერ დაუმტკიცებ, რომ იმაზე უკეთესი ხარ, რაც ხარ.

* * *

წარსულის გადმონაშთები ჩვენც ამოგვიჭამენ.

* * *

ყველამ რომ თავისი საქმე აკეთოს, დანარჩენს ვიღამ მიხედოს.

* * *

სიცრუეში მხილებულს სიმართლემდე მოლაპარაკება შეუძლია.

* * *

გედნიერებას გევრი რამ უშლის ხელს, უბედურებას არც არაფერი არ აფერხებს.

* * *

სიბერე ის დროა, როცა ასაკს არც არაფერი აღარ ცვლის.

* * *

გრმად დამორჩილება ტკბილი რამ არის.

* * *

ხან არწივებსაც უხდებათ გეღურების უფლებებით ცხოვრება.

* * *

ჩრდილში ყოფნა ძნელი არ არის, მთავარია, რომ იცოდე ვისი ჩრდილია.

* * *

ყოველივე უფლის ხელთ არის. ჩვენ ისღა დაგვრჩენია, რომ ვილოცოთ.

რაზე?

– რაზე და, ღმერთს ხელები რომ არ აუკანკალდეს.

* * *

– **მითხარი,** ჩემს ასაკზე უკეთესად გამოვიყურები?

– არა, უბრალოდ შენ დროს გაუსწარი, ძვირფასო.

„მაშავის“ 60 წლის იუბილე

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროში ისრაელის განვითარებისა და თანამშრომლობის საერთაშორისო სააგენტოს „მაშავი“ 60 წლის იუბილისადმი მიძღვნილი მიღება გაიმართა.

გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის პირველმა მოადგილემ ნოდარ კერესელიძემ, ისრაელის საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურიმ და სააგენტოს „მაშავი“ ხელმძღვანელის მოადგილემ იუვალ ფუქსმა მოწვეულ სტუმრებს სიტყვით მიმართეს. ნოდარ კერესელიძემ საქართველოსა და ისრაელის მჭიდრო თანამშრომლობაზე ისაუბრა და სააგენტოს მიერ ქართველი ფერმერებისა და, ზოგადად, სოფლის მეურნეობის განვითარების მხარდაჭერაზე გაამახვილა ყურადღება.

„მაშავი“ საქართველოში არაერთ პროგრამას, მათ შორის, საგანმანათლებლო პროგრამებს ახორციელებს. „მაშავის“ პროგრამების ფარგლებში, სოფლის მეურნეობის დარგში დასაქმებულებმა, ფერმერებმა და მეწარმეებმა საჭირო ცოდნა მიიღეს, რაც არის განვითარების და ახალი ტექნოლოგიების დანერგვის საფუძველი. ჩვენ მადლობას ვუხდით ისრაელის სახელმწიფოს, ჩვენს მეგობარ ხალხს ამ მნიშვნელოვანი დახმარებისა და მხარდაჭერისთვის“, – განაცხადა ნოდარ კერესელიძემ.

„მოხარული ვარ, რომ საქართველოში, თბილისში აღვნიშნავთ „მაშავის“ დაარსებიდან 60 წლის იუბილეს. მოგეხსენებათ, ბოლო 25 წლის განმავლობაში, საქართველოდან ისრაელში ტრენინგები გაიარა 1500-ზე მეტმა პროფესიონალმა, რომლებიც ისრაელში მიღებული ცოდნით დაუბრუნდნენ სამშობლოს და საკუთარ გამოცდილებას დღესაც უზიარებენ სხვებს. მტკიცედ მწამს, რომ მსგავსი ურთიერთობა ორი სახელმწიფოსა და ორი ერის ურთიერთობას უფრო მეტად აძლიერებს“, – განაცხადა ისრაელის ელჩმა საქართველოში შაბთაი ცურიმ.

იუბილესადმი მიძღვნილ ღონისძიებაზე ნაჩვენები იყო 60 წლის განმავლობაში სააგენტოს მოღვაწეობის შესახებ გადაღებული მოკლე საინფორმაციო ვიდეორგოლი.

თბილისის მერია ვახუშტის ხიდის რეაბილიტაციისთვის ტენდერს აცხადებს

დედაქალაქის მერის კახა კალაძის თქმით, ხიდის რეაბილიტაციის გადაწყვეტილება თბილისის მასშტაბით ჩატარებული ხიდების კვლევის საფუძველზე მიიღეს.

„2015 წელს დედაქალაქის მასშტაბით არსებული ხიდების კვლევა ჩატარდა, რომლის მიხედვითაც ავარიულობის ხარისხი დადგინდა. მას შემდეგ, თბილისის მერია ავარიული ხიდების რეაბილიტაციას ეტაპობრივად აწარმოებს. ამჯერად, ვახუშტის ხიდის აღდგენას ვგეგმავთ. ტენდერს ვახუშტის ხიდის რეაბილიტაციისთვის ორ-სამ დღეში გამოვაცხადებთ. ხიდის აღდგენა-განახლების პროცესს დაახლოებით, 2 მილიონ 400 000 ლარი და ხუთი თვე დასჭირდება“, – განაცხადა დედაქალაქის მერმა.



საქართველოს
რესპუბლიკა
SAKARTVELOS
RESPUBLIKA
კოსტავას ქ. №21

მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
299-02-10
599 36-00-35

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი
599 53-76-16;
ალეკო
ასლანიშვილი
599 56-81-86;

პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა ვაშაკიძე
514 33-33-24

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა
„კოლორ პრესში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს–323
ISSN 2233-3851

ავტორთა საყურადღებოდ!

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით.

ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

გაზეთის გამოსაწერად მიმართეთ:

„ელვა სერვისი“
238-26-73; 577 99 16 51
238-26-14; 577 30 88 47

„მაცნე“
214-74-22; 599 982 777

„პლანეტა-ფორტე“
292 18 59; 579 79 99 08

„ჯეომედია“
266-51-13; 593 209 526

გაზეთის გამოწერა შეგიძლიათ რედაქციაშიც:
2-99-02-10; 599 797 679.

გაზეთი შეგვიძლია მოგაწოდოთ ელექტრონულადაც, ელ.ფოსტის საშუალებით.

„საქართველოს რესპუბლიკა“ შენი გაზეთია, აუცილებლად იყიდე, წაიკითხე, ისიამოვნე!

უცხოური ვალუტის კურსი:
აშშ დოლარი - 2.6855; ევრო - 3.1095;
ბრიტანული გირვანქა სტერლინგი - 3.5508;
100 რუბლი - 3.9742; თურქული ლირა - 0.4642;
აზერბაიჯანული მანათი - 1.5844;
1000 სომხური დრამი - 5.5508.

ამინდი 18 ოქტომბრისთვის

აღმოსავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+6,	დღე	+25
მთიანი რაიონები -	ღამე	+1,	დღე	+24
დასავლეთი საქართველო:				
ბარი -	ღამე	+12,	დღე	+29
მთიანი რაიონები -	ღამე	+6,	დღე	+28
თბილისი:	ღამე	+11,	დღე	+21

დაგვირეკეთ, მოგვწერეთ:
ტელ: 299-02-10,
599-79-76-79
ელ. ფოსტა: sakresp@mail.ru
და sakresp@top.ge